

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი



ნინო ვარშალომიძე

ფინანსური სტაბილურობის აქტუალური საკითხები
სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა და შპს გსქ კულას
მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ხელმძღვანელი: თსუ ასოცირებული პროფესორი
იზოლდა ჭილაძე

თბილისი
2020

ანოტაცია

თემის აქტუალობა: საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი მიმართულებებია მათი მყარი გადახდისუნარიანობა, ფინანსური დამოუკიდებლობა და დაბალი ფინანსური რისკები.

ერთ საწარმოში წარმოქმნილი არასტაბილური გარემო გავლენას ახდენს მის პარტნიორ ფირმებზეც რადგან, არასტაბილურობის მიზეზით ფირმები კარგავენ საქონლისა და მომსახურეობის მომწოდებლებს, სახელმწიფო კარგავს გადასახადების გარკვეულ ნაწილს, პროდუქციის მომხმარებლები კი მათთვის სასურველ და მიმზიდველ პროდუქტს. ასე რომ არასტაბილური გარემო მსგავსად მთელ ეკონომიკას აზარალებს. ამდენად საწარმოს გადახდისუნარიანობისა და ფინანსური ფინანსური სტაბილურობის კვლევა და მისი განმტკიცების ღონისძიებები მუდამ აქტუალურია.

კვლევის საგანია საანალიზო საწარმოს აქტივების, მათი დაფინანსების წყაროების, ლიკვიურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა.

კვლევის მიზანია საანალიზო საწარმოს ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების გზების ძიება, რისკის შემცირებისაკენ მიმართული ქმედებების განსაზღვრა, საჭირო წინადადებების შემუშავება.

კვლევის ობიექტია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ და „შპს გსქ კულა“, რომელთა პროდუქციაც დიდი პოპულარულობით სარგებლობს ქართველ მომხმარებელში აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესო იქნება იმის განსაზღვრა თუ როგორი სტაბილურობით ხასიათდება თითოეული მათგანი.

შრომის დასკვნაში გადმოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები და შემუშავებულია საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის შემდგომი განმტკიცების რეკომენდაციები.

„The topical issue of financial stability are on the example of Jsc Coca-cola bottlers

Georgia and Ltd Gsk kula“

Nino varshalomidze

Annotation

Relevance of the topic :Important areas of financial stability of enterprises are possible solid determination, financial independence and low financial risks. The unstable environment created in one enterprise can be changed with the participation of a new partner firm, volatile aid firms lose goods and service provides, the state loses some of its taxes, and consumers of the want and attractive. Therefore, in the same way the unstable environment affects the whole economy system.

Thus, the study of the solvency and financial stability of the enterprise and the measures to strengthen it are always relevant.

The subject of the research: are enterprise's assets, sources of their funds, indicators of liquidity and payment ability.

The aims of the research is to find the ways of improving analytical finances of enterprise, analyzing activities towards risk reduction, work out essential suggestions.

The object of the research is Jsc „Coca - cola bottlers Georgia“ and Ltd „Gsk kula“, of which products are popular among Georgian users.

From all that was mentioned, it would be interesting analyzing what stability percentage each of them has. In the conclusion of the labor is presented the result of conducted researches and is developed analytical stability of the future recommendations.

შინაარსი

| | |
|---|-----|
| შესავალი ----- | 2 |
| თავი 1. ფინანსური სტაბილურობის არსი და მაჩვენებელთა სისტემა | |
| 1.1. ფინანსური სტაბილურობის არსი და ანალიზის ინფორმაციული წყარო----- | 4 |
| 1.2. საწარმოთა აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობის სახეები----- | -12 |
| 1.3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა----- | 14 |
| თავი 2. საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები | |
| 2.1 საკუთარი საბრუნავი საშუალებების ანალიზი----- | 23 |
| 2.2 ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტების ანალიზი----- | 41 |
| 2.3 გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები----- | 48 |
| დასკვნა ----- | 56 |
| ლიტერატურა----- | 60 |
| დანართი | |

შესავალი

თემის აქტუალობა: საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ანალიზის აქტუალობა სულ უფრო იზრდება, რადგან საწარმოთა სტაბილურობითა და გადახდისუნარიანობით დაინტერესებულია არა მხოლოდ მათი მმართველობა, არამედ, მათთან ურთიერთობაში მყოფი ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირი და თვით სახელმწიფო. ერთ საწარმოში წარმოქმნილი არასტაბილური გარემო გავლენას ახდენს მის პარტნიორ ფირმებზეც რადგან, არასტაბილურობის მიზეზით ფირმები კარგავენ საქონლისა და მომსახურეობის მომწოდებლებს, სახელმწიფო კარგავს გადასახადების გარკვეულ ნაწილს, პროდუქციის მომხმარებლები კი მათთვის სასურველ და მიმზიდველ პროდუქტს. ასე რომ არასტაბილური გარემო ჯაჭვური რეაქციის მსგავსად მთელ ეკონომიკას აზარალებს.

საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვანი მიმართულებებია მათი მყარი გადახდისუნარიანობა, ფინანსური დამოუკიდებლობა და დაბალი ფინანსური რისკები. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს იმ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, რომელიც აუცილებელია: საწარმოს ნორმალური ფუნქციონირების, ფინანსების მიზანმიმართულად დაბანდებისა და ეფექტურად გამოყენების, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან შეუფერხებელი ფინანსური ურთიერთობის უზრუნველყოფის, ხელფასების დროულად გაცემისა და ფინანსური მდგრადობისათვის.

ამრიგად, საწარმოს გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის კვლევა და მისი განმტკიცების ღონისძიებების შემუშავება მუდამ აქტუალურია.

კვლევის საგანია საანალიზო საწარმოს აქტივების, მათი დაფინანსების წყაროების, ლიკვიურობისა და გადახდისუნარიანობის მაჩვენებელთა სისტემა.

კვლევის მიზანია საანალიზო საწარმოს ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების გზების ძიება, რისკის შემცირებისაკენ მიმართული ქმედებების განსაზღვრა, საჭირო წინადადებების შემუშავება.

კვლევის ამოცანები: ფინანსური სტაბილურობის ანალიზთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება, სხვადასხვა ტიპის ლიტერატურისა და სტატიების გაცნობა;

მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და შედეგად ნაშრომში ამომწურავი ინფორმაციის შეტანა;

საკვლევი ობიექტის ამორჩევა ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მიზნით; ფინანსური სტაბილურობის ანალიზისათვის შესაბამისი მეთოდებისა და ინდიკატორების შერჩევა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ და შპს „გსქ კულა“. აღნიშნულ საწარმოებზე შესაძლებელია ყველა საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ჩვენთვის სასურველი მაჩვენებლების ანალიზი. ეს საკვლევი ობიექტები შეირჩა მათი ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე, ორივე ფორმა ახორციელებს გამაგრებელი სასმელების წამოებას საქართველოში.

კვლევის მეთოდები: დასახული მიზნებიდან გამომდინარე შეირჩა სათანადო კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ კვლევის ობიექტის ფინანსური სტაბილურობის ანალიზისათვის გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის ფინანსური კოეფიციენტები, ასევე ჩატარებულია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ვერტიკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტების ანალიზი.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები.

აღნიშნული ნაშრომის შესრულებისათვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და საინფორმაციო წყაროებს წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ინტერნეტი.

შრომის დასკვნაში გადმოცემულია საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის შემდგომი განმტკიცების რეკომენდაციები.

თავი 1. ფინანსური სტაბილურობის არსი და ანალიზის ინფორმაციული წყარო.

1.1. ფინანსური სტაბილურობის არსი და ანალიზის ინფორმაციული წყარო.

დღევანდელი ცვალებადი ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე საწარმოს წინაშე დგება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორცაა მყარი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნება. ფინანსურ მდგომარეობაში იგულისხმება საწარმოს მომგებიანობისა და გადახდინსუნარიანობის უნარი.

საწარმო შეუფერხებლად ახორციელებს თავის სამეწარმეო საქმიანობას შესაბამისად იღებს შემოსავალს, ფარავს დავალიანებებს და ამასთანავე არის მომგებიანი, მისი ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია, შესაბამისად მსგავსი საწარმოს მიმართ იზრდება ინტერესი პარტნიორების მხრიდან და არა მხოლოდ პარტნიორების.

თავის მხრივ, სტაბილურობა გულისხმობს უნარს ისეთი პრობლემებისგან თავის არიდებას როგორცაა: გაყიდვების შემცირება, კაპიტალის უკმარისობა, კვალიფიციური პერსონალის გადინება საწარმოდან, არსებული და პოტენციური კლიენტების დაკარგვა.

ნებისმიერი კომპანია შეიძლება აღმოჩნდეს ფინანსური სიძნელის წინაშე. ხშირად არსებული კრიზისისგან გამკლავება უჭირთ მცირე ზომის საწარმოებს. ისინი ვერ უძლებენ არასტაბილურ გარემოსა და კონკურენციას, რაც შეეხება დიდი ზომის საწარმოს, უარეს შემთხვევაში მოხდება მათი რესტრუქტურირაცია ან სხვა კომპანიაზე გაყიდვა.

იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს საწარმოში სტაბილურობის დონე საჭიროა :

1.საწარმოს უზრუნველყოფა საოპერაციო საქმიანობის ნორმალური განხორციელებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით.

2.ფინანსური რესურსების მიზნობრივი დაბანდება საწარმოში, მათი ეფექტიანი გამოყენება.

3. საიმედო პარტნიორული ურთიერთობა მომწოდებლებთან, პარტნიორებთან, მყიდველებთან.

4. საწარმოს რეპუტაციის შენარჩუნება დარგში.

შრომში ჩატარებული კვლევის ძირითად ინფორმაციულ ბაზას საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საწარმოს საქმიანობის შედეგების ამსახველი და ურთიერთდაკავშირებული აბსოლიტური ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გამოითვალოს სხვა და სხვა საჭირო და საინტერესო კოეფიციენტები. სწორედ ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას გარე მომხმარებლები აღნიშნულ საწარმოსთან ურთიერთობის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეული ხარისხობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს, ეს ხარისხობრივი მახასიათებლები იყოფა ორ ჯგუფად, პირველ ჯგუფში შედის ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები: შესაბამისობა, და სამართლიანად წარდგენა. მეორე ჯგუფში შედის ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ფინანსური მდგომარეობის საიმედოობას. ესენია: შესაძარისობა, შემოწმებადობა, აღქმადობა და დროულობა.

შესაბამისობაში იგულისხმება ინფორმაცია, რომელიც სწორად ასახავს საწარმოში მიმდინარე მოვლენებს, შესაბამისი ინფორმაცია ახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე. შესაბამისი ინფორმაციას გააჩნია შესაძარისობის თვისებაც, რაც იმას გულისხმობს რომ შესაძლებელია წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით განისაზღვროს სამომავლო შედეგები.

მეორე მთავარი ფინანსური მახასიათებელი **სამართლიანი წარდგენაა**, რაც გულისხმობს იმას, რომ წარმოდგენილია ყველა აუცილებელი ინფორმაცია ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს რომ ანგარიშგებაში არ არის შეცდომები, მთავარია სწორად იყოს ასახული ინფორმაცია და შეცდომები არ იყოს არსებითი. რაც შეეხება ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფს: **შესაძარისობა** - ფინანსური ანგარიშგების ერთერთი მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მახასიათებელია, იგი სხვა და სხვა საწარმოს ან და ერთი და იგივე საწარმოს საქმიანობის შედარების საშუალებას იძლევა. მონაცემების შესაძარისობა პრობლემებს იწვევს სხვა და სხვა ქვეყანაში აღრიცხვის ორგანიზაციის სპეციფიკის

თვალსაზრისით. შესადარისობა, უპირველეს ყოვლისა, მიიღწევა აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდების სტაბილურობით.

შემოწმებადობა განსაზღვრავს რამდენად სწორადაა წარმოდგენილი ინფორმაცია, ინფორმაციის შემოწმების ორი გზა არსებობს, ესაა დაკვირვება და ელემენტების დამოუკიდებლად გამოანგარიშება.

დროულობა - გულისხმობს ინფორმაციის საჭირო დროს წარმოდგენას, როცა მას აქვს არსებითი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის კარგავს ხარისხს.

აღქმადობა - მოითხოვს, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს ისეთი მომხმარებლებისათვის ვისაც გააჩნია ბიზნესის შესაბამისი ცოდნა, პიროვნებას რომელსაც შესწევს უნარი გაანალიზოს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია.

როგორც ცნობილია, ფინანსური ანგარიშგება შედგება ხუთი კომპონენტისგან ესენია :

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბუღალტრული ბალანსი;
- 2.სრული შემოსავლების ანგარიშგება ანუ მოგება -ზარალის ანგარიშგება;
- 3.პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
- 4.პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება;
- 5.განმარტებითი შენიშვნები -სადაც განხილულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა, ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათში მომხდარი ცვლილებები და საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებების მიმართ.

ბუღალტრული ბალანსი არის საწარმოს ქონების ორმხრივი ასახვა, ერთი მხრივ მათი ფუნქციური დანიშნულების მიხედვით და მეორე მხრივ დაფინანსების წყაროების მიხედვით, ფულად ფორმაში, დროის მოცემული მომენტისათვის.ბუღალტრულ ანგარიშგებაში მოცემულია ინფორმაცია აქტივების, საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ, პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის.ბალანსის მეშვეობით შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად შესწევს საწარმოს უნარი დაფაროს თავისი ვალდებულებები, რამდენად აქტიურია ბიზნესი, რა რესურსები გააჩნია და საიდან აქვს მიღებული დაფინანსების წყაროები. ბალანსის მნიშვნელობა შემდეგში გამოიხატება:

1. ბალანსის მონაცემების მეშვეობით შესაძლებელია აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის დადებითი და უარყოფითი ცვლილებების განსაზღვა მრავალწლიანი პერიოდის განმავლობაში.
2. ბალანსი აჩვენებს ფინანსურად დამოუკიდებელია კომპანია თუ კრედიტორებზეა დამოკიდებული.
3. შეუძლია თუ არა საწარმოს დროულად დაფაროს ვალდებულებები.
4. შეისწავლის საწარმოს ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტურ მაჩვენებლებს.
5. აჩვენებს დამოკიდებულებას დებიტორულ და კრედიტორულ დავალებებში მიმდინარე ცვლილებებსა და ფულადი ნაკადების ცვლილებას შორის.
6. საწარმო საკუთარი საბრუნავი კაპიტალით რამდენად უზრუნველყოფს მატერიალური მარაგებს.
7. შესაძლებელია კაპიტალის ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი მაჩვენებლის გამოთვლა.

ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია საწარმოსთვის დადებითია როცა:

1. ბალანსის ჯამი წლის ბოლოსთვის იზრდება წლის დასაწყისთან შედარებით, ამავდროულად მისი ზრდის ტემპი აღემატება ინფლაციის ზრდის ტემპს.
2. მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი აღემატება ძირითადი საშუალების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპს.
3. საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში 50% -ს უნდა აღემატებოდეს.
4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ზრდის ტემპები დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს.
5. დაუფარავი ზარალი არ არსებობს.

ბუღალტრული ბალანსის ანალიზისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებები როგორცაა: საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ცვლილებები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკაში არსებული ცვლილებები.

ანალიზისათვის გამოიყენება ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდი. ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს როგორცაა :

მთლიანი აქტივების რამდენი პროცენტია მიმდინარე აქტივები, მთლიანი ვალდებულებებისა და კაპიტალის რამდენი პროცენტია მიმდინარე

ვალდებულებები, მიმდინარე აქტივების წილი მთლიან აქტივებში უფრო მაღალი უნდა იყოს ვიდრე მიმდინარე ვალდებულებების წილი მთლიან კაპიტალში. რა წილი უკავია სააქციო კაპიტალს აქტივებში, როგორ იცვლება ეს თანაფარდობა.

შეისწავლება მთლიან აქტივებში რა წილი უჭირავს დებიტორულ დავალიანებას, დროთა განმავლობაში იცვლება თუ არა თანაფარდობა. დებიტორული დავალიანების წილის ზრდა მიუთითებს რომ კომპანიას უჭირს დებიტორული დავალიანების ამოღება, თუ წილი შემცირდა ეს ნიშნავდეს რომ კომპანიამ გაამკაცრა საკრედიტო პოლიტიკა.

როგორია კაპიტალის სტრუქტურის შემადგენლობა ან სხვა სიტყვებით, მთლიანი აქტივების რა წილია დაფინანსებული ვალდებულებებით და რა წილი საკუთარი კაპიტალით .

რაც შეეხება ჰორიზონტალურ ანალიზს მისი მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს მონაცემების ცვლილება ტენდენციურად. სხვადასხვა წლის მონაცემები შეუდარდეს ერთმანეთს და გამოვლინდეს ცვლილებების გამომწვევი მიზეზები.

გარდა ბალანსისა მნიშვნელოვან საანალიზო ინფორმაციას შეიცავს მოგება-ზარალის ანგარიშგება, 2009 წელს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ცვლილების შედეგად მას აგრეთვე უწოდეს „სრული შემოსავლების ანგარიშგება“ , მოგება-ზარალის ანგარიშგება მზადდება დარიცხვის მეთოდით მასში წარმოდგენილია ინფორმაცია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, დანახარჯები კლასიფიცირებულია ორ ჯგუფად ესაა საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯები . საწარმოო დანახარჯებია: პირდაპირი მასალის, პირდაპირი შრომის საწარმოო ზედნადები ხარჯები, ხოლო საერთო ადმინისტრაციული ხარჯები და მარკეტინგის ხარჯები არასაწარმოო დანახარჯებია.

ინვესტორები მოგება-ზარალის ანგარიშგების მეშვეობით იგებენ, რამდენად გამართულად მუშაობს საწარმო, როგორი უკუგების მიღება შეუძლია განხორციელებული ოპერაციებიდან, რამდენად კარგად შეასრულა მმართველმა პერსონალმა მათზე დაკისრებული ვალდებულებები. შესაბამისად მოგება-ზარალის ანგარიშგების ანალიზის შედეგად განისაზღვრება:

1.რამდენად მომგებიანად იყენებს საწარმო რესურსებს;

2. როგორია დანახარჯების სტრუქტურული ცვლილებები;
3. როგორია მოგების მაჩვენებლების ზრდის ტემპი;
4. როგორია მომგებიანობის მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები;
5. ჩატარდება რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ფაქტორული ანალიზი;
6. შეისწავლება ლევერიჯის კოეფიციენტები;
7. შემუშავდება მოგების ზრდის ღონისძიებები.

მოგება-ზარალის ანგარიშების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია შესწავლილ იქნეს ისეთი მაჩვენებლები როგორცაა:

1. მოგება რეალიზაციიდან, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება, გაუნაწილებელი მოგება, მათი დინამიკა, ცვალებადობა და წილი ხარჯების მიმართ.
2. შემოსავლსა და ხარჯებს შორის სხვაობა, მათი სტრუქტურისა და დინამიკის კოეფიციენტები.
3. მოგების ლევერიჯის მაჩვენებლები.
4. მომგებიანობის მაჩვენებლების დინამიკური და ფაქტორული ანალიზი.

მოგება-ზარალის ანგარიშების ინფორმაცია დადებით მოვლენად ითვლება, როცა:

- შემოსავლების ზრდის ტემპი აღემატება ხარჯების ზრდის ტემპს ;
- საოპერაციო მოგების ზრდის ტემპი მეტია რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპზე;
- წმინდა მოგების ზრდის ტემპი \geq რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპი \geq საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი \geq საწარმოს აქტივების ზრდის ტემპი
- წმინდა მოგების ზრდის ტემპი ტოლია ან მეტია წლიური მოგების ზრდის ტემპზე.

საწარმოსათვის ნეგატიური მდგომარეობაა როცა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ზრდის ტემპს წინ უსწრებს ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის ტემპი, სხვა ხარჯების ზრდის ტემპი წინ უსწრებს ჩვეულებრივი ხარჯების ზრდის ტემპს. ეს მიუთითებს რესურსების არამართლზომიერ გამოყენებაზე.

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა აგრეთვე ფულადი ნაკადების ანგარიშგება. იგი ასახავს საწარმოში ფულადი თანხებისა და მისი ექვივალენტების მიღების წყაროს და

გამოყენებას, მთელი პერიოდისათვის. ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი საშუალებები.

საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად ითვლება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, აქედან ჩანს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა ფულადი სახსრები და საკმარისია თუ არა ვალდებულებების გასასტუმრებლად.

რაც შეეხება საინვესტიციო საქმიანობას ის გულისხმობს იმას თუ რა თანხა იქნა გაწეული ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების, ობლიგაციების შესაძენად, ასევე ნაჩვენებია ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი საშუალებები, მიღებული პროცენტები და სხვა.

რაც შეეხება საფინანსო საქმიანობას აჩვენებს რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებას საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის შედეგად შესაძლებელია შესწავლილ იქნეს:

1. შეუძლია თუ არა დაფაროს საწარმოს მის მიერ მიღებული ფულით ვალდებულებები;
2. საჭიროა თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა;
3. როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე;
4. რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებას, აქ მოცემულია ინფორმაცია სააქციო კაპიტალის, საემისიო კაპიტალის, რეზერვების, საანგარიშო წლის წმინდა მოგების გამოყენებისა და ზარალის შესახებ. მის საფუძველზე შესაძლებელია შესწავლილ იქნეს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურული ცვლილებების მიზეზები.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა გარე მომხმარებლებისათვის. ანგარიშგების თითოეულ კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინფორმაციული თვალსაზრისით. მისი მეშვეობით დაინტესებული პირები, ორგანიზაციები იღებენ მათთვის საინტერესო პასუხებს, რაც ეხმარება მათ გადაწყვეტილებების მიღებაში გააგრძელონ თუ არა სამომავლოდ ურთიერთობა, განახორციელონ თუ არა ინვესტირება მათთვის საინტერესო საწარმოში.

1.2. საწარმოთა აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობის სახეები.

ყოველი საწარმოსათვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება. ფინანსურ სტაბილურობაში იგულისხმება უნარი საწარმომ შეინარჩუნოს ფინანსური დამოუკიდებლობა, გაყიდვების მოცულობა, კვალიფიციური პერსონალი, საკუთარი კაპიტალის დონე, კლიენტები რომელსაც ფირმა ემსახურება, სწორედ ამ უკანასკნელის მდგომარეობაზე, მათ სტაბილურობაზეა დამოკიდებული დარჩება თუ არა მომსახურე ფირმა ბიზნესში.

ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისით ძირითადად პრობლემები წარმოექმნებათ მცირე საწარმოებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს საწარმოს გაქრობას. ფინანსურ არასტაბილურობაზე მიუთითებს ის გარემოება როგორცაა, ნასესხები სახსრების სიჭარბე საკუთარ კაპიტალზე. ასეთ შემთხვევაში საწარმო შესაძლებელია გაკოტრდეს თუ სამომავლოდ არასასურველი თანაფარდობა არ შეიცვლება.

ფინანსური სტაბილურობა ხასიათდება შემოსავლის სტაბილური ზრდის მაჩვენებლით ხარჯებთან შედარებით, თავისუფალი ფულადი სახსრებით და მათი ეფექტური გამოყენებით. ფინანსური სტაბილურობის ანალიზი იძლევა საშუალებას დავადგინოთ რამდენად ეფექტურად მართავს საწარმო მოზიდულ და საკუთარ სახსრებს. ფინანსური სტაბილურობის ერთერთი მაჩვენებელია გადახდისუნარიანობა. გადახდისუნარიანობა არის საწარმოს უნარი, შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება კომერციული, საკრედიტო და სხვა საგადახდო გარიგებების შედეგად .

საწარმოს გადახდისუნარიანობა დასტურდება ისეთი ფორმალური პარამეტრები როგორცაა:

1. თავისუფალი ფულადი სახსრების არსებობა სალაროსა და ბანკში.
2. ფირმას არ აქვს დავალიანება მომწოდებლებთან, ბანკებთან, საგადასახადო ორგანოებთან.

რაც შეეხება დაბალ გადახდისუნარიანობას შეიძლება იყოს შემთხვევითი, დროებითი ან გრძელვადიანი-ქრონიკული. ამ უკანასკნელმა შეიძლება საწარმო გაკოტრებამდე მიიყვანოს.

საწარმოს გადახდისუნარიანობაზე მიუთითებს ის გარემოება, როცა საწარმოს შეუძლია საკუთარი დაფინანსების წყაროებით დაფაროს დავალიანება, ამისათვის მას სჭირდება მოქნილი ფინანსური სტრუქტურა და შესაძლებლობა, მოიზიდოს სხვა რესურსები იყოს კრედიტუნარიანი.

ფინანსურ სტაბილურობაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, როგორცაა :

- საწარმოს პოზიცია ფინანსურ ბაზარზე;
- კონკურენტუნარიანი და ყველაზე გაყიდვადი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია;
- მისი რეიტინგი პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობისას;
- კრედიტორებისა და ინვესტორებისადმი დამოკიდებულების ხარისხი;
- გადახდისუნარო დებიტორების არ არსებობა;
- ფულად შემოსავლებსა და საწარმოო ხარჯებს შორის კავშირი;
- საკუთარი კაპიტალის ოდენობა;
- საფინანსო ოპერაციების ეფექტიანობა.

არსებობს აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობის ოთხი ტიპი:

1. აბსოლუტური ფინანსური სტაბილურობა, როცა საწარმოში არსებული მარაგები იფარება საკუთარი კაპიტალის მეშვეობით ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას რომ ორგანიზაცია არ არის დამოკიდებული კრედიტორებზე.

მატერიალური მარაგები < საკუთარი საბრუნავი სახსრები; (1.2.1.)

იდეალური სიტუაციაა როდესაც მატერიალური მარაგების 50% მეტი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით.

2. ნორმალური ფინანსური სტაბილურობა, როცა საწარმო იყენებს არა მხოლოდ საკუთარ საბრუნავ საშუალებებს, მარაგების დასაფარავად, არამედ ფორმირების ნორმალურ წყაროებს, ნორმალურ წყაროებში იგულისხმება მოკლევადიანი სესხები, მოკლევადიანი მიღებული ავანსები.

საკ.საბრუნავი საშუალებები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროები.(1.2.2.)

3. არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება გადახდისუნარიანობის დარღვევით, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოსწროდება

სიტუაცია თუ საწარმო შეძლებს საკუთარი საბრუნავი საშუალებების შევსებას, დებიტორების შემცირებას, დააჩქარებს მარაგების ბრუნვას .

მატერიალური მარაგი > მარაგების დაფინანსების ნორმალური წყაროები.(1.2.3.)

არასტაბილურია ფინანსური მდგომარეობის დროს :

1. დარღვეულია ფინანსური დისციპლინა - შეფერხებით გაიცემა ხელფასი თანამშრომლებზე, გამოყენებულია დროებით თავისუფალი სახსრები რეზერვებიდან;
2. შეფერხებულია ფულის მიღება ანგარიშებზე;
3. შემცირებულია რენტაბელობის დონე.
4. შეუსრულებელია ფინანსური გეგმა.

4. კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა, როცა არასტაბილურ ფინანსურ მდგომარეობასთან ერთად, საწარმოს გააჩნია ვადაგადაცილებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, არ შეუძლია არც საკუთარი და არც მოზიდული სახსრებით დაფაროს ვალდებულებები, ამ დროს ის გაკოტრების ზღვარზეა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება მიიღწევა:

- მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით;
- მარაგებისა და დანახარჯების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფით;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებით შიდა და გარე წყაროების ხარჯზე.

ამრიგად საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის დროს მენეჯმენტს შეუძლია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ფინანსური სტაბილურობის შემდგომი გამტკიცების მიზნით.

1.3. საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა

დღევანდელი ცვალებადი ეკონომიკური გარემოდან გამომდინარე საწარმოს წინაშე დგება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი როგორცაა, მყარი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნება. სწორედ ამიტომ მეწარმეები თავისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე გეგმავენ საქმიანობას, ცდილობენ შეინარჩუნონ მყარი

მგდომარეობა, ამისათვის ისინი აფორმებენ ხელშეკრულებებს მომავალ პარტნიორებთან, ვალდებულნი ხდებიან შეასრულონ მათზე ნაკისრი მოვალეობები.

მნიშვნელოვანია ხელმძღვანელმა გააკონტროლოს მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, და სწორედ განკარგოს ისინი, რათა უზრუნველჰყოს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის წრებრუნვა, მოახდინოს მათი განმეორებითი ინვესტირება. სწორედ საწარმოს გამართული ფინანსური ურთიერთობები და ფინანსური რესურსების ადეკვატურობა განსაზღვრავს მისი სტაბილურობის ხარისხს. საწარმოს ფინანსური სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფინანსური რესურსების მართვა, არამედ აუცილებელია საკუთარი კაპიტალისა და ფინანსური ვალდებულებების ერთდროული განკარგვა. საწარმოს მომგებიანობისკენ სწრაფვა განაპირობებს შემდგომში ბიზნესის სტაბილურობას, შესაბამისად მეწარმეების მიზანია საწარმოს მომგებიანობის გაზრდა, ზარალის შემცირება, ხარჯების მინიმიზაცია, საწარმოს ეფექტიანობის ამაღლება.

ნებისმიერი ბიზნესის წინაშე დგას სამი ფუნდამენტალური საკითხი რომლის სწორად განსაზღვრის შემთხვევაში საწარმო შეძლებს ნორმალური ფუნქციონირებას ესენია :

1. დაფინანსების რა წყაროებით შეიძლება ქონების შეძენა და როგორი უნდა იყოს მისი სტრუქტურა.
2. რა რაოდენობის და როგორი შემადგენლობის აქტივებია საჭირო, რათა მიღწეულ იქნას მიზანი.
3. როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საწარმოს გადახდისუნარიანობა და მისი სტაბილურობა.

საწარმოს ფინანსები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ესენია :

1. საწარმო პოტენციალის უზრუნველყოფა.
2. მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფა .

აღნიშნული გულისხმობს საწარმოს გადახდისუნარიანობას მისი მომგებიანობის უნარს, მიმდინარე საქმიანობის საკუთარი სახსრებით ან და მოზიდული სახსრებით უზრუნველყოფას, შესაბამისად თუ საწარმო დროულად და შეუფერხებლად ფარავს დავალიანებებს შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხოა მასთან ურთიერთობა, მსგავსი ტიპის საწარმოთი უკვე დაინტერესებულნი არიან არა

მხოლოდ მმართველი პერსონალი არამედ ინვესტორები, რომლეთაც გააჩნიათ გარკვეული ფინანსური ინტერესი.

შესაბამისად ერთერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელსაც ყურადღებას აქცევენ დაინტერესებული პიროვნებები ესაა გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა. საწარმოს გადახდისუნარიანობას მისი ლიკვიდურობის ხარისხი ახასიათებს . განასხვავებენ აქტივების, ბალანსის და საწარმოო ლიკვიდურობას.

ლიკვიდურია ქონება, რომელიც დროს მოკლე პერიოდში შეიძლება გადაიქცეს გაცვლის საშუალებად, აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური აქტივი ფულია. ლიკვიდური აქტივებია: ფულადი საშუალებები, მატერიალური მარაგები, მოკლევადიანი მოთხოვნები, ფასიანი ქაღალდები. საბრუნავი საშუალებებიც ლიკვიდურ აქტივებს განეკუთნება, მიზეზი შემდეგში მგდომარეობს, შეძენილი მასალა რამდენიმე დღეში მზა პროდუქტად გარდაიქმნება, ხოლო საბოლოო სახის მიღების შემდეგ ჩაეშვება რეალიზაციის პროცესში, საიდანაც საწარმო მიიღებს შემოსავალს, აღწერილი პროცესი არ ჩერდება და იწყებს ახალ ციკლს.

რაც შეეხება ბალანსის ლიკვიდურობას ის გულისხმობს საკუთარი კაპიტალით მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობას, ე.ი საწარმოს გააჩნია შესაძლებლობა მოცემულ დროს დაფაროს ვალდებულებები აქტივებით, სხვა მოზიდული სახსრების გარეშე, ან საკუთარი საშუალებების არ არსებობის შემთხვევაში საწარმოს შესწევს უნარი მოიზიდოს ინვესტიციები. ლიკვიდური ბალანსი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის საფუძველია.

გადახდისუნარიანობა ესაა საწარმოს უნარი დროულად დაფაროს ვალდებულებები და სწორედ საწარმოს მენეჯმენტია ორიენტირებული გადახდისუნარიანობის დროის კონტროლზე. იმისათვის რომ დროულად დაიფაროს დავალიანება საჭიროა ფულადი საშუალებების არსებობა, რაც უფრო დროულად ფარავს საწარმო მის დავალიანებას მით უფრო ლიკვიდურია იგი. ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა ვალდებულებების პირობებისათვის შექმნა. გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია საწარმოს ლიკვიდურობაზე.

საწარმოს გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებია : გადახდისუნდარიანობის ბალანსი, მარაგების დაფარვის მაჩვენებელი და საწარმოს ლიკვიდურობა.

საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ანალიზის საფეხურებია :

1 გადახდისუნარიანობის ბალანსის შედგენა;

2.ლიკვიდურობის კოეფიციენტების ტენდენციების შესწავლა;

3. დასკვნების გაკეთება , საჭირო ღონისძიებების შემუშავება;

გადახდისუნარიანობის ბალანსი გვიჩვენებს მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურას და ფარავს თუ არა მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებს. გადახდისუნარიანობის ბალანსის მეშვეობით შეგვიძლია გამოვთვალოთ აბსოლიტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი:

აბსოლიტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები/მიმდინარე ვალდებულებები
(1.3.1.)

იგი აჩვენებს საწარმოში არსებული ფულადი საშუალებებით მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის დაფარვაა შესაძლებელი, ეს კოეფიციენტი 0,2-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი= (ფულადი საშუალებები+მოკლევადიანი მოთხოვნები/მიმდინარე ვალდებულებები) (1.3.2.)

იგი აჩვენებს საწარმოში არსებული და მისაღები ფულადი თანხები, მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილს ფარავს . მინიმალური თანაფარდობა 1:1.

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებზე
(1.3.3.)

იგი აჩვენებს საწარმოს ხელთ არსებული მიმდინარე აქტივები სრულად, რამდენად ფარავს მიმდინარე ვალდებულებებს. კოეფიციენტი უნდა მერყეობდეს 2 დან- 3 მდე დიაპაზონში.

ლიკვიდურობის კოეფიციენტებთან ერთად შეისწავლება საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები:

სსს მანევრირების კოეფიციენტი= ფულადი საშუალებები / საკუთარი საბრუნავი სახსრები.(1.3.4.)

იგი აჩვენებს საკუთარ საბრუნავ სახსრებში რა წილი უჭირავს ფულად საშუალებებს ამ მაჩვენებლის ზრდა დადებითი მოვლენაა.

ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი = ფულადი საშუალებები+დებიტორები+ფასიანი ქარაღები / საშუალო დღიური ხარჯი. (1.3.5.)

იგი აჩვენებს რამდენი დღის ხარჯია დაფარული ფულადი აქტივებით, რაც შეეხება საშუალო დღიურ ხარჯს მის გამოსათვლელად გამოიყენება მოგება-ზარალის ანგარიშგება .

საშუალო დღიური ხარჯი = მთლიანი ხარჯი/365 დღე .

ანალიზის დროს შეიძლება გამოვიყენოთ :

მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი = ფულადი თანხები/მიმდინარე ვალდებულებებს-მიმდინარე მოთხოვნები.(1.3.6.)

იგი აჩვენებს ფულადი თანხები მიმდინარე ვალდებულებების რა ნაწილის ფარავს მიმდინარე მოთხოვნების გამოკლების შემდეგ.

პერსპექტიული ლიკვიდურობის კოეფიციენტი =

= მწ.მოგება-ამორტიზაცია/შემოსავალი რეალიზაციიდან.(1.3.7.)

კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი=

= ფულად თანხებს +დებიტორული დავალიანებები/ვადადამდგარი ვარდებულებები+
+ მიმდინარე ვალდებულებები .(1.3.8.)

კრიტიკული ლიკვიდურობის მაჩვენებელი უნდა მერყეობდეს 07-0.8 დიაპაზონში.

ამრიგად ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა ფაქტობრივად ერთი და იგივე მაჩვენებელია და გადახდისუნარიანობის დონე ლიკვიდურობის კოეფიციენტებით იზომება.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ გადახდისუნარიანობის ანალიზი, საჭიროა შევისწავლოთ კოეფიციენტების ცვლილება დინამიკაში, დავახასიათოთ თუ როგორი ცვლილებებით ხასიათდება ესა თუ ის მაჩვენებელი საკვლევ პერიოდში, განვსაზღვროთ გადახრები საბაზისო წელთან მიმართებაში, დავადგინოთ ცვლილებების გამომწვევი ფაქტორები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ანალიზის საფეხურები:

1. ყველა კვლევა ეფუძნება გარკვეულ ინფორმაციას, საჭიროა შევავროვოთ ინფორმაცია;
 2. გამოვთვალოთ ლიკვიდურობის კოეფიციენტები ყოველი საკვლევო პერიოდისათვის;
 3. გამოვთვალოთ ვარიაციის კოეფიციენტი;
 4. განვსაზღვროთ ლიკვიდურობაზე მოქმედი ფაქტორები;
 5. საბაზისო წელთან შედარებით განვსაზღვროთ გადახრები, მოვახდინოთ მათი ანალიზი;
 6. შევიმუშაოთ დასკვნითი წინადადებები, გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით;
- პირველ რიგში უნდა შევადგინოთ ლიკვიდურობის მაჩვენებლების დინამიკის ცხრილი.

იმის დასახასიათებლად თუ რამდენად მერყევი იყო ზემოთ განხილული მაჩვენებლები გამოიყენება ვარიაციის კოეფიციენტი, რომლითაც გამოვთვლით მონაცემთა სიმრავლისა და გაფანტულობას ანუ ცვალებადობას.

$$CVAR = S/X * 100\% \text{ (1.3.9.)}$$

სადაც S შერჩევის სტანდარტული გადახრაა.

X შერჩევითი საშუალო.

ვარიაციის კოეფიციენტები ითვალისწინებს შერჩევის საშუალოს სიდიდეს და ფაქტიურად ზომავს საშუალო ერთეულზე მოსულ სტანდარტულ გადახრას. შესაძლებელია რომ მონაცემთა ერთი სიმრავლის სტანდარტული გადახრა უფრო დიდი აღმოჩნდეს მეორე სიმრავლის სტანდარტულ გადახრაზე, მაგრამ ვარიაციის კოეფიციენტისთვის იყოს შებრუნებული თანაფარდობა.

საწარმოს ლიკვიდურობაზე გავლენას ახდენს ფულადი ფაქტორების ცვლილება, მატერიალური მარაგების ცვლილება, მიმდინარე მოთხოვნების ცვლილება. იმისათვის რომ განვსაზღვროთ ფულადი აქტივების ცვლილების ტემპი რა გავლენას ახდენს ლიკვიდურობის მაჩვენებელზე შეგვიძლია გამოვიყენოთ კორელაციისა და დეტერმინაციის კოეფიციენტი.

$$R = n * \sum x y - \sum x * \sum y / \sqrt{[n * \sum x^2 - (\sum x)^2] [n * \sum y^2 - (\sum y)^2]}$$

$$D = R^2 \text{ (1.3.10.)}$$

სადაც : X - დამოუკიდებელი ცვლადია

Y - დამოკიდებული ცვლადი

N - არის წევრთა რიცხვი აღებული სიმრავლე

D - დეტერმინაციის კოეფიციენტი

კორელაციის მაჩვენებლის გამოთვლის შემთხვევაში განვსაზღვრავთ პირდაპირპროპორციულად იცვლება თუ უკუპროპორციულად ლიკვიდრობის მაჩვენებელი ანუ მაგალითად იწვევს თუ არა ფულადი საშუალებების ზრდა ან შემცირება ლიკვიდურობის მაჩვენებლის ცვლილებას, რაც შეეხება დეტერმინაციას ის აჩვენებს ფაქტორ-მაჩვენებლების გავლენას პროცენტებში.

გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების დინამიკური ანალიზის შემდეგ ნაბიჯია ლიკვიდურობის კოეფიციენტების გადახრების განსაზღვრა, მათი გამომწვევი მიზეზების გამოვლენა.

შემდეგ შეისწავლება ძირითადი საანალიზო მაჩვენებლების ფაქტორული მოდელები და იზომება გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა. შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჯაჭვური ჩასმის ხერხი ან აბსოლიტური სხვაობის ხერხი.

აბსოლიტური სხვაობის ხერხის არსი შემდეგში მდგომარეობს :

მოცემული ფაქტორის გავლენა უდრის ამ ფაქტორის გადახრა გამრავლებული მწკრივში მის წინ მდგომი ფაქტორის ფაქტიურ და შემდგომ მდგომი ფაქტორის საბაზისო მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება ჯაჭვური ჩასმის ხერხს, გამოიყენება მაშინ, როდესაც ფაქტორთა დაკავშირების მწკრივში გაყოფის მოქმედებაც არსებობს.

ჯაჭვური ჩამის ხერხით თითოეული მაჩვენებლის გავლენა შემდეგნაირად გამოითვლება : ფაქტორთა მწკრივში ყველა ფაქტორი აიღება გეგმიურ დონეზე. შემდეგ გეგმიური მაჩვენებელი შეიცვლება ფაქტიური მაჩვენებლით და ყოველი გაანგარიშების შემდეგ ყოველ მომდევნო მწკრივის შედეგს გამოაკლდება წინა გაანგარიშების (ანუ მწკრივის) შედეგი, მიღებული სხვაობა წარმოადგენს ფაქტორთა გავლენას.

რაც შეეხება ლევერიჯის მაჩვენებლებს ყურადსაღებია შემდეგი განგარიშებები

საკ.კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი= საკ. კაპიტალი/ აქტივების ჯამი (1.3.11.)

აღნიშნული კოეფიციენტი აჩვენებს საკუთარი კაპიტალით აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული, სასურველია ეს მაჩვენებელი 0.5-ს აღემატებოდეს.

საკაპიტალის ლევერიჯის კოეფიციენტი = აქტივები/ საკ. კაპიტალი (1.3.12.)

ეს მაჩვენებელი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელია და აჩვენებს, აქტივები რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს, თუ აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან ერთის ტოლია ნიშნავს, რომ აქტივები მთლიანად საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული, ხოლო თუ მაჩვენებელი 1-ზე მეტია ესეიგი საკუთარი კაპიტალის გარდა საწარმო იყენებს მოზიდულ სახსრებს აქტივების დასაფინანსებლად, აღნიშნული მაჩვენებელი ფინანსურ რისკზე მიუთითებს.

სააქციო კაპიტალის უკუგება (ROE) = (წმ.მოგება-პრივილეგირებული აქციის დივიდენდი) /
სააქციო კაპიტალი ჩვეულებივ აქციებში.(1.3.13.)

ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი ლარი მოგება რჩება ჩვეულებრივი აქციის მფლობელს, მათ მიერ შეტანილი კაპიტალიდან.

არსებობს ამ კოეფიციენტის შემდეგი სახის ფაქტორული მოდელი

$ROE = \text{წმ.მ/წლ.მ} * \text{წლ.მ/საოპ.მ} * \text{საოპ.მ./შემოს} * \text{შემ/აქტივი} * \text{აქტ/სააქც.კაპ.}$ (1.3.14.)

მოცემულ მოდელში პირველი ფაქტორია წმინდა მოგების ფარდობა წლიური მოგებასთან, რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი მით უფრო მაღალია სააქციო კაპიტალის უკუგების დონე;

მეორე ფაქტორია წლიური მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან. ამ მაჩვენებლის ზრდა მიუთითებს რომ საპროცენტო ხარჯები შემცირებულია და მომგებიანობის მაჩვენებელი უფრო და უფრო იზრდება;

საოპერაციო მოგების შემოსავლათან ფარდობის ზრდა ნიშნავს, რომ იზრდება მოგება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე რაც დადებითად ზემოქმედებს სააქციო კაპიტალის უკუგების ზრდაზე ;

შემოსავლების აქტივებთან შეფარდება მიუთითებს იმაზე თუ ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერ გადაიქცევა თავისუფალ ფულად საშუალებად;

აქტივების სააქციო კაპიტალთან ფარდობა აჩვენებს რა მოცულობის რესურსი მოდის ყოველ ერთ ლარ სააქციო კაპიტალზე.

საწარმოს სტაბილურობის დასახასიათებლად გამოიყენება აბსოლიტური და ფარდობითი მაჩვენებლები.

ფინანსური სტაბილურობა ხასიათდება შემდეგი ფარდობითი მაჩვენებლებით.

საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობა =საკუთარი კაპიტალი/ მოზიდული კაპიტალი.(1.3.15.)

რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით უფრო კარგია საწარმოსთვის. სასურველია რომ აღნიშნული მაჩვენებელი 1-ზე დაბალი არ იყოს. მისი ზრდა ნიშნავს, რომ დაფინანსების წყაროებში იზრდება საკუთარი კაპიტალის წილი, ის გამოიყენება ფინანსური სტაბილურობის ზოგადი დახასიათებისთვის. თუ მაჩვენებელი ერთზე დაბალია ეს აღნიშნავს, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი=(საკუთარი კაპიტალს-პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი)/აქტივებს-ვალდებულებები

ან,

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი= საკუთარი კაპიტალი / აქტივების ჯამი.
(1.3.16.)

აღნიშნული მახასიათებელი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში დადებითად ჩაითვება თუ ეს კოეფიციენტი 0.5 -ს აჭარბებს, რაც უფრო ახლოსაა აღნიშნული მაჩვენებელი ერთთან მით უფრო კარგი მდგომარეობაა საწარმოში ის დამოუკიდებელია.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა=

= საკ.კაპიტალს+გრძელვადიანი ვალდებულებები-გრძელვადიანი აქტივები/მიმდინარე აქტივები.

(1.3.17.)

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი = აქტივების ჯამი / საკ.კაპიტალი . (1.3.18.)

როდესაც ეს მაჩვენებელი ერთს აღემატება მიუთითებს, რომ საწარმო ფინანსური რისკის ზღვარზეა.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = ვალდებულებები /აქტივებთან.(1.3.19.)

იგი აჩვენებს ვალდებულებებით ყოველი ერთი ლარის აქტივის დაფარვის ხარისხს ამ მაჩვენებლის ზრდა უარყოფითი ნიშანია. ეს მაჩვენებელი 0.5-ზე ნაკლები უნდა იყოს.

$$\begin{aligned} & \text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \\ & = \text{სსს/საკ.კაპიტალი} = \text{მიმდინარე აქტივებს-მიმდინარე ვალდებულებები/საკ.კაპიტალთან. (1.3.20.)} \end{aligned}$$

იგი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დაფინანსებისათვის გამოყენებული საკუთარი კაპიტალის წილს ანუ წილს რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, დანარჩენი კი დაბანდებულია გრძელვადიან აქტივებში. ეს მაჩვენებელი 0,3 ზე დაბალი არ უნდა იყოს.

გრძელვადიანი დავალიანების სტრუქტურის კოეფიციენტი = გრძელ. ვალდებულებები / გრძელვადიანი აქტივი. (1.3.21.)

ეს მაჩვენებელი აჩვენებს აქტივების რა ნაწილია დაფარული გარე ინვესტორების მიერ და რა ეკუთვნის საწარმოს მესკუთრეს.

$$\begin{aligned} & \text{მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი} = \\ & = \text{მოგება \% -ისა და გადასახადის გადახდამდე/საპროცენტო თანხა. (1.3.22.)} \end{aligned}$$

ეს მაჩვენებელი ახასიათებს ფინანსური რისკის ხარისხს .

გარდა ზემოთ განხილული ფორმულებისა შესაძლებელია გამოთვლილ იქნეს მარაგის დაფარვის კოეფიციენტი.

მარაგის დაფარვის კოეფიციენტი = დაფინანსების ნორმალური წყაროები / მატერიალური მარაგები. (1.3.23.)

ნორმალურ წყაროებში იგულისხმება მოკლევადიანი სესხები, მიღებული ავანსი, ეს მაჩვენებელი უნდა აღემატებოდეს 1-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია.

$$\begin{aligned} & \text{მატერიალური მარაგების უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით} = \\ & = \text{საკუთარი საბრუნავი სახსრები/მატერიალური მარაგები. (1.3.24.)} \end{aligned}$$

იგი აჩვენებს მატერიალური მარაგების რა ნაწილი იფარება საკუთარი სახსრებით.
ინდიკატორები, რომელიც ახასიათებს საწარმოს სტაბილურობას:

საკუთარი საბრუნავი საშუალებები საანგარიშო პერიოდის ბოლოს = საკ.კაპიტალს-მიმდინარე
მოთხოვნები. (1.3.25.)

საკუთარი და მოზიდული საბრუნავი საშუალებები= საკ.კაპიტალს+დებიტორული
დავალიანება +მიზნობრივი შემოსავლები.(1.3.26.)

მარაგების ფორმირების წყაროები=საკუთარი საბრუნავი საშუალებები + მოკლევადიანი სესხები.
(1.3.27.)

თავი 2. საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები.

2.1. საკუთარი საბრუნავი საშუალებების ანალიზის შედეგები.

საკუთარი საბრუნავი საშუალებების ანალიზი იწყება წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზით. წმინდა მიმდინარე აქტივები ესაა სხვაობა მიმდინარე აქტივსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის.

ითვლებოდა, რომ მიმდინარე აქტივები უნდა დაფინანსებულიყო მოკლევადიანი საშუალებებით, ხოლო ძირითადი საშუალებები გრძელვადიანი დაფინანსების წყაროებით, დღეის მდგომარეობით ეს მიდგომა აღარ გამოიყენება, ახლა შესაძლებელია მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი დაფინანსდეს გრძელვადიანი მოზიდული სახსრებით, შესაბამისად შესაძლებელია გრძელვადიანი სესხების მიმართვა მიმდინარე აქტივების დასაფინანსებლად.

იმის გასარკვევად თუ როგორი მდგომარეობაა საწარმოში რა სახის აქტივები და ვალდებულებები გააჩნია მას, წარმოვადინოთ შპს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფის -ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება.

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია ვერტიკალური ფორმატით (იხ.დანართი 1), ე.ი თავდაპირველად წარმოდგენილია აქტივები მისი ლიკვიდურობის მიხედვით, ჯერ გრძელვადიანი, ხოლო შემდეგ მოკლევადიანი აქტივები, რაც შეეხება ვალდებულებებს ისიც დაყოფილია გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად, ლიკვიდურობის ზრდის მიხედვით .

იმის გასარკვევად თუ როგორი ხვედრითი წილით ხასიათდება მოკლევადიანი აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია აქტივების სტრუქტურული ანალიზის 2.1.1.ცხრილი .

როგორც სტრუქტურული ანალიზიდან ჩანს (იხილეთ ცხრილი 2.1.1.) 2016 წელს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს ყველაზე მაღალი წილი უჭირავს, აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება, როგორც 2017, ასევე 2018 წელს.

**ცხრილი 2.1.1. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ჯგუფის მიმდინარე აქტივების
სტრუქტურა 2016 - 2018 წლებში**

| მიმდინარე აქტივები | 2016 | | 2017 | | 2018 | |
|---------------------------------------|-------|-----------------|-------|-----------------|-------|-----------------|
| | ლარი | ხვედრითი წილი % | ლარი | ხვედრითი წილი % | ლარი | ხვედრითი წილი % |
| მარაგები | 9331 | 35,80 | 8362 | 28,13 | 9065 | 26,07 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 15000 | 57,55 | 18122 | 60,99 | 22126 | 63,66 |
| გაცემული სესხები | 39 | 0,14 | 2735 | 9,20 | 2043 | 5,88 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 1697 | 6,51 | 499 | 1,68 | 1526 | 4,39 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 26067 | 100 | 29718 | 100 | 34760 | 100 |

2017 წელს 2016 წელთან შედარებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხვედრითი წილი იზრდება 3,44, ხოლო 2018 წელს 2016 წელთან შედარებით 6,11 პროცენტული პუნქტით, ეს მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მაჩვენებლად, რადგან მოთხოვნების ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ არ ხდება დროულად დებიტორებიდან ფულადი თანხების შემოსვლა. შესაბამისად საწარმოს მენეჯმენტს დასჭირდება დებიტორული დავალიანებების ამოღების მკაცრი პოლიტიკის გატარება.


ცხრილი 2.1.2. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ მიმდინარე აქტივების დინამიკა პროცენტულად 2015 წელთან შედარებით.

| ბალანსის ელემენტები | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|--|------|--------|--------|--------|
| მარაგები | 100 | 126,50 | 113,67 | 122,80 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 100 | 104,20 | 125,89 | 153,70 |
| მიმდინარე მოგების გადასადის გადახდილი ავანსი | 100 | 0 | 0 | 0 |
| გაცემული სესხები | 100 | 85,11 | 90,42 | 679 |
| ფული და ფულის ექვივალენტები | 100 | 73,48 | 83,05 | 92,9 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 100 | 102,73 | 114,62 | 137 |

გარდა სტრუქტურული ანალიზისა შესწავლილ იქნა მიმდინარე აქტივების დინამიკა (იხ. 2.1.2. ცხრილი). როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს ყოველწლიურად მოთხოვნების რაოდენობა იზრდება, 2016 წლის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით იზრდება 4,25 %-ით, 2017 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 14 %-ით,

ხოლო 2018 წელს დებიტორული დავალიანება 53,71 % ით არის გაიზარდა, რისი მიზეზიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოკვეთული საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ.

დებიტორული დავალიანების საშუალო ზრდის ტემპი - 120,95 %-ია, რაც არ წარმოადგენს სახარბიელო მაჩვენებელს. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ გრაფიკი 2.1.1.



გრაფიკი 2.1.1. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“- დებიტორული დავალიანების პროცენტული ცვლილებები 2015-2018 წლებში


გარდა მიმდინარე მოთხოვნების დინამიკის პროცენტული ცვლილების ანალიზისა დებიტორული დავალიანების შეფასებისათვის გამოიყენება დებიტორული დავალიანების ინკასაციის კოეფიციენტი და ბრუნვის რიცხვი.

დებიტ.დავ.ინკას.კოეფ= დებ. დავ. საშ. წლ.ნაშ. *365 /ამონაგები რეალიზაციიდან (2.1.1.)

დებ. დავ.ბრ. რიცხვი =365 / დებ.დავ.ინკასაციის პერიოდი (2.1.2.)

გარდა დებიტორული დავალიანების ანალიზისა,რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ესაა მარაგები. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ -ში მნიშვნელოვანია ნედლეულისა და მზა პროდუქციის მარაგის არსებობა, ფირმისათვის მნიშვნელოვანია თავისუფლად გააგრძელოს საქმიანობა. შესაბამისად სტრუქტურული ანალზის შედეგების შესწავლისას ადვილად შესამჩნევია ის გარემოება, რომ მარაგების ხვედრითი წილი მცირდება მოკლევადიან აქტივებში,

ხოლო დინამიკაში პროცენტული მაჩვენებელი იზრდება საბაზისო 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს შეინიშნება ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სასაქონლო მატერიალური მარაგებში 126,50 % , 2017 წელს 113,67 % ხოლო 2018 წელს 122,80 %. აღნიშნული ზრდა და შემცირება შესაძლებელია გამოვწული იყოს გაყიდვების მოცულობის შემცირებით ან მარაგების მართლზომიერი გამოყენებით. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ სვეტოვანი დიაგრამა 2.1.2.



გრაფიკი 2.1.2. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ მარაგების პროცენტული ცვლილებები 2015-2018 წლებში

მნიშვნელოვანია მარაგების ანალიზისას შესწავლილ იქნეს ისეთი საკითხები როგორცაა :

ნედლეულისა და მასალების ბრუნვის პერიოდი, რაც გულისხმობს იმას თუ რამდენ დღეში გადავა მატერიალურ დანახარჯებში მასალებში ავანსირებული ღირებულება . ხოლო ბრუნვის რიცხვი გვიჩვენებს წლის განმავლობაში რამდენჯერ გადავა ნედლეული და მასალა მატერიალურ დანახარჯში.

ნედლეულისა და მასალის ბრუნვის პერიოდი= ნედ. და მას. საშ.წლ.ნაშ. * 365 /რეალ.საქ.თვით (2.1.3.)

ნედლეულის და მასალის ბრ.რიცხვი= 365 / ნედ.მას. ბრ.პერიოდი (2.1.4.)

დაუმთავრებელი წარმოების ბრუნვის პერიოდი გვიჩვენებს რამდენი დღე სჭირდება დაუმთავრებელ პროდუქციას მზა პროდუქციის შესაქმნელად. ხოლო

ბრუნვის რიცხვი გვიჩვენებს რამდენი დღეა საჭირო იმისათვის, რომ დაუმთავრებელი წარმოება გადავიდეს მზა პროდუქციაში.


დაუმთავრებელი წარმოების ბრ.პერიოდი = დაუმთ. წარმ.საშ წლ.ნაშ.*365 /მზა პროდუქციის თვითღირებულება (2.1.5.)

დაუმთავრებელი წარმოების ბრ. რიცხვი = 365/ დაუმთავრებელი წარმოების ბრ.პერიოდი(2.1.6.)

მზა პროდუქციის ბრუნვის რიცხვი გვიჩვენებს წლის განმავლობაში მზა პროდუქცია რამდენჯერ გადაიქცევა ფულად, ხოლო პერიოდი იმას თუ თუ ავანსირებული ღირებულება რამდენ დღეში გადაიქცევა ისე ფულად აქტივად.


მზა პროდუქციის ბრუნვი პერიოდი = მზა პროდ.საშ. წლ.ნაშ *365 /რეალიზებული პროდ. თვითღირებულება (2.1.7.)

გარდა მარაგებისა ცვლილებები შეინიშნება გაცემულ სესხებშიც, როგორც დინამიკის ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 2.1.2.) საბაზისო 2015 წელთან შედარებით 2016 და 2017 წელს შეინიშნება კლება, რაც დადებით შედეგს წარმოადგენს მაგრამ სიტუაცია უარსედება 2018 წელს სადაც გაცემული სესხები 679 %-ით აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს. თვალსაჩინოებისათვის (იხ.2.1.3. გრაფიკი).



გრაფიკი 2.1.3. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ გაცემული სესხების პროცენტული ცვლილებები 2015-2018 წლისთვის

რაც შეეხება ფულად საშუალებებს და მის ექვივალენტებს იგი მერყეობით ხასიათდება, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით ისე როგორც ხვედრითი წილი ასევე დინამიკაში პროცენტული მაჩვენებელიც იკლებს, შესაბამისად 2015 წელთან შედარებით ნაკლები ფულადი რესურსი რჩება საწარმოს გამოსაყენებლად.(იხ.გრაფიკი 2.1.4.).



გრაფიკი 2.1.4. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ფული და მისი ექვივალენტები პროცენტული ცვლილებები 2015-2018 წლისთვის

გარდა ზემოთ განხილული სტრუქტურული და დინამიკური ანალიზის ცვლილებებისა მნიშვნელოვანია განისაზღვროს საკუთარი საბრუნავი საშუალებების ბრუნვის რიცხი, ბრუნვის პერიოდი და დამაგრების კოეფიციენტი 2015 -2018 წლისათვის , რაც მთავარია დახასიათდეს თითოეული მათგანი.

რაც უფრო დაბალია ინკასაციის პერიოდი მით უფრო ნაკლები დრო სჭირდება დებიტორული დავალიანების დაფარვას. საანალიზო საწარმოს მაგალითზე სახეზეა უარყოფითი შედეგი რადგან 2018 წელს ეს პერიოდი გაზრდილია. რაც შეეხება დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვს 2016 და 2017 წლისათვის 7,9 -ის , ხოლო 2018 წლისათვის 7,4 ის ტოლია, რაც ასევე არასასურველი შედეგია.

ცხრილი 2.1.3. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ საბრუნავი საშუალებებში

ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლები

| მაჩვენებლები | 2016 | 2017 | 2018 |
|---|-------|-------|-------|
| დებიტორული დავალიანების ბრუნვის პერიოდი | 46 | 46 | 49 |
| ნედლეულსა და მასალებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი | 25,52 | 25,29 | 22,3 |
| საქონლის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი | 5,77 | 5,34 | 3,72 |
| მზა პროდუქციის მარაგებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი | 6,86 | 5,32 | 5,05 |
| დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი | 7,93 | 7,93 | 7,44 |
| ნედლეულსა და მასალებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი | 14 | 14 | 16 |
| საქონელსა და საქონელი გზაში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი | 63 | 68 | 98 |
| მზა პროდუქციის მარაგებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი | 53,20 | 68,60 | 72,27 |
| ფულადი საშუალებების ბრუნვის რიცხვი | 50 | 125 | 148 |
| საკუთარი საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი | 0,223 | 0,224 | 0,23 |

დინამიკაში თუ გაიზრდება ინკასირების პერიოდი მით უფრო შენელებს დებიტორული დავალიანების მიღება საწარმოში, რაც საბოლოო ჯამში ვადადამდგარ დებიტორულ დავალიანებებს გაზრდის, ამ ორ მაჩვენებელს შორის დამოკიდებულებას შევისწავლით დინამიკაში კორელაციის და დეტერმინაციის კოეფიციენტების მეშვეობით.

**ცხრილი 2.1.4. ინკასაციის პერიოდსა და დებიტორულ დავალიანებას
შორის კორელაციის განსაზღვრის მაჩვენებლები სს კოკა-კოლა
ბოთლერს ჯორჯიას მაგალითზე.**

| წლები | X | Y | XY | X ² | Y ² |
|-------|-----|--------|----------|----------------|----------------|
| 2016 | 46 | 15 | 690 | 2116 | 225 |
| 2017 | 46 | 18,122 | 833.612 | 2116 | 328.406 |
| 2018 | 49 | 22,126 | 1084,174 | 2401 | 489.56 |
| Σ | 141 | 55.248 | 2607.78 | 6633 | 1042.96 |

(X-დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი დღეებში;
Y- დებიტორული დავალიანებების ნაშთი)

აღნიშნული ცხრილიდან ირკვევა, რომ დებიტორები საშუალოდ 47 დღეში იხდიან თავის დავალიანებას. საშუალო კვადრატური გადახრა 1,41 ტოლია.რაც შეეხება ვარიაციის კოეფიციენტს, ეს მაჩვენებელი 3% ის ტოლია, რაც იმას მიშნავს, რომ დავალიანების დაფარვის პერიოდი არ მერყეობს, სასურველია დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი შემცირდეს ამ შეთხვევაში შემცირდება დებიტორული დავალიანების ნაშთი.

ვარიაციის მაჩვენებლის შემდეგ, რაც უნდა გამოვთვალოთ ესაა კორელაციის კოეფიციენტი, რის შედეგადაც განვსაზღვრავთ დამოკიდებულებას დებიტორულ დავალიანებასა და ინკასაციის მაჩვენებელს შორის, კორელაციის კოეფიციენტი 0.899 ტოლია. როგორც ჩანს კორელაციის მაჩვენებელი დადებითია, რაც მიგვითითებს იმაზე რომ დამოკიდებულება ორ მაჩვენებელს შორის პირდაპირპროპორციულია, მაჩვენებელი ახლოსაა +1 თან. ეს შედეგი მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ დეტერმინაციის კოეფიციენტის თანახმად დებიტორულ დავალიანების ცვლილების 80.82 % გამოწვეულია ინკასაციის პერიოდის ცვლილებით ხოლო დანარჩენი 19,18 % სხვა ფაქტორებით.

გარდა დებიტორული დავალიანებების ყურადღება გავამახვილეთ ნედლეულისა და მასალების მარაგებში ავანსირებული ღირებულებების ბრუნვის პერიოდზე 2016-2017 წლისათვის. როგორც ცხილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 2.1.3 ცხრილი) საბრუნავი საშუალებების ბრუნვის პერიოდი წლების მიხედვით მცირდება, 2016 წელთან შედერბით 2017 წელს უმნიშვნელო კლება შეინიშნება, ასევე 2018 წელს, მაგრამ ეს ცვლილება უმიშვნელოა, რაც შეეხება ბრუნვის რიცხვს ის იზრდება რაც დადებით ნიშნად ითვლება, ეს ცვლილებები მანიშნებელია იმისა,

რომ მარაგებში ავანსირებული ღირებულება სწარფად გადადის მატერიალურ დანახარჯში .

რაც შეეხება სხვა მიმდინარე აქტივებს როგორცაა „საქონელი და საქონელი გზაში“ ბრუნვის პერიოდი და ბრუნვის რიცხვი უმჯობესდება ყოველწლიურად, 2018 წელს შეინიშნება ყველაზე სასურველი შედეგი, როცა ბრუნვის პერიოდი 3,72-ს, ხოლო ბრუნვის რიცხვი 98 ტოლია, ეს მაჩვენებელი მიუთითებს იმ გარემოებაზე , რომ სწარფად ხდება საქონლის მიწოდება ვიდრე წინა წლებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მაჩვენებელი მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი და რიცხვია, როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ.ცხრილი 2.1.3) ყველწლიურად მცირდება მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი და იზრდება ბრუნვის რიცხვი, შესაბამისად ყოველწლიურად უმჯობესდება მდგომარეობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველწლიურად მზა პროდუქციაში ავანსირებული ღირებულება უფრო სწარფად შემოიტანს ფულს საწარმოში.

რაც შეეხება ფულადი საშუალებების ბრუნვის რიცხვს აღნიშნული მაჩვენებელი უმჯობესდება თუ 2016 წლისათვის 50-ჯერ ბრუნდებოდა უკან, 2017 წლისთვის ეს მაჩვენებელი იზრდება ის 125 ტოლია, ხოლო 2018 წლისთვის 148-ის.

გარდა საკუთარი საბრუნავი საშუალებების ბრუნვის რიცხვისა და ბრუნვის პერიოდისა ვხვდებით ერთ მნიშვნელოვან კოეფიციენტს, როგორცაა საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი, აღნიშნული კოეფიციენტის ზრდა მიანიშნებს იმაზე, რომ იზრდება ბრუნვაში უძრავად მყოფი სახსრები და სუსტდება კომპანიის გადახდისუნარიანობა .

საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი= მიმდინარე აქტივები /შემოსავალი რეალიზაციიდან (2.1.8.)

სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი 2016-2018 წლებისათვის ინარჩუნებს სტაბილურ დონეს ეს კოეფიციენტი 2016-2017 წლისათვის 0,223 -ის ტოლია, ხოლო 2018 წლისთვის 0,23-ის. აღნიშნული ზრდა უმნიშვნელოა. შესაბამისად არ იზრდება ბრუნვაში უძრავად მყოფი სახსრები.

გარდა მიმდინარე აქტივებისა აუცილებელია მოკლევადიანი ვალდებულებების განხილვაც :

ცხრილი 2.1.5. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მოკლევადიანი ვალდებულებების სტრუქტურა


| მაჩვენებლები | 2016 | | 2017 | | 2018 | |
|---|-------|--------------------|-------|--------------------|-------|--------------------|
| | ლარი | ხვედრითი წილი %-ში | ლარი | ხვედრითი წილი %-ში | ლარი | ხვედრითი წილი %-ში |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | | | | |
| ნასესხები სახსრები | 36215 | 61,51 | 23294 | 51,45 | 28822 | 63,38 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 18454 | 31,35 | 21284 | 47,03 | 16345 | 35,94 |
| დეპოზიტური ვალდებულებები | 95 | 0,16 | 95 | 0,22 | 95 | 0,20 |
| სხვა გადასახდელი გადასახადები | 627 | 1,06 | 602 | 1,33 | 210 | 0,461 |
| სხვა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები | 3485 | 5,92 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 58876 | 100 | 45275 | 100 | 45472 | 100 |

როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ.ცხრილი 2.1.5.) მოკლევადიან ვალდებულებებში ნასესხებ სახსრებს სხვა ვალდებულებებთან შედარებით უფრო მაღალი წილი უჭირავს, 2016 წელთან შედარებით 2017 მდგომარეობა გაუჯობესებულა, რადგან ნასესხები სახსრების წილი იკლებს 10.06-ით თუ შევუდარებთ ერთმანეთს 2018 და 2016 წელს დავინახავთ რომ აქ ნასესხები სახსრების წილი იზრდება 1,87-ით, რაც უარყოფით შედეგს წარმოადგენს ეს გარემოება მიმანიშნებელია იმისა, რომ საწარმოს საკუთარი სახრები არ ჰყოფნის .

ცხრილი 2.1.6. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მოკლევადიანი ვალდებულებების დინამიკა 2015-2018 წლებში პროცენტულად


| | 2015 | 2016 | 2017 | 2018 |
|---|------|------|------|------|
| ნასესხები სახსრები | 100 | 356 | 229 | 283 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 100 | 130 | 150 | 115 |
| დეპოზიტური ვალდებულებები | 100 | 100 | 100 | 100 |
| სხვა გადასახდელი გადასახადები | 100 | 33 | 35 | 77 |
| სხვა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები | 100 | 138 | 100 | 0 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 100 | 211 | 162 | 163 |

პროცენტული წილით დახასიათების გარდა, ცვლილებების უკეთ აღსაქმელად წარმოვადგინეთ სვეტოვანი დიაგრამა, სადაც ასახული იქნება პროცენტული ცვლილებები წლების მიხედვით.



2.1.5 სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ნასესხები სახსრების პროცენტული ცვლილებები 2015 წლის მიმართ


რაც შეეხება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს მათი ხვედრითი წილი საბაზისო 2016 წელთან შედარებით იზრდება, 2017 წელს 15,68-ით ხოლო 2018 წელს 4,58-ით, ეს მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით ნიშნად განსაკუთრებით 2017 წლისათვის, იგი მიმანიშნებელია იმ ფაქტისა, რომ საწარმოს არ აქვს რესურსი სრულად გაისტუმროს არსებული დავალიანებები, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ, სიტუაცია დადებითი ტენდენციით ხასიათდება, 2018 წელს ვალდებულებების წილი შემცირებულია წინა წელთან შედარებით. გარდა ხვედრითი წილისა მონაცემების დასახასიათებლად თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებების ცვლილებები პროცენტულად სვეტოვანი დიაგრამის სახით. (იხ. გრაფიკი 2.1.6)



გრაფიკი 2.1.6. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ სავაჭრო ვალდებულებების პროცენტული ცვლილებები

დანარჩენი გადასახდელი გადასახადების ხვედრითი წილი (იხ.გრაფიკი 2.1.7) იზრდება 2016 წელთან შედარებით 2017 წელს 0,26-ით და მცირდება 0,603-ით 2018 წელს, ამ წლის მაჩვენებელი დადებით შედეგს წარმოადგენს, რადგან ვალდებულებების დონე მცირდება, საწარმოს შესწევს უნარი დაფაროს გარკვეული ნაწილი აღნიშნული დავალიანების.


თვალსაჩინოებისათვის 2.1.7. გრაფიკზე იხილეთ პროცენტულად ცვლილებები სხვა გადასახდელ გადასახადებში.



გრაფიკზე 2.1.7. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ სხვა გადასახდელი გადასახადები დინამიკა 2015 წელთან შედარებით

რაც შეეხება მოკლევადიან ფინანსურ ვალდებულებებს მისი წილი 2016 წელს იზრდება, რაც უარყოფით მაჩვენებლად ჩაითვლება. ხოლო 2017 და 2018 წლისათვის სრულად ხდება დავალიანების გასტუმრება. ეს ყველაფერი დადებითი მოვლენაა საწარმოსათვის, რადგან ის ახერხებს დავალიანების სრულად გასტუმრებას.

საწარმოსათვის მნიშვნელოვანია დროულად დაფაროს ვალდებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმო შეიძლება გადახდისუუნარო აღმოჩნდეს.



**გრაფიკი 2.1.8. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ფინანსური ვალდებულებების დინამიკა
2015 წლის მიმართ**

რაც შეეხება წმინდა მიმდინარე აქტივებს და საწარმოს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს (იხ.ცხრილი 2.1.7.), აღმოჩნდა რომ მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს. შესაბამისად ადვილად შესამჩნევია ის ფაქტი რომ მიმდინარე აქტივებით ვერ ხდება მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრება . საკუთარი საბრუნავი საშუალებების შემცირების მიზეზი ნათელია ესაა ფულადი სახსრების ბრუნვის შეფერხება, შეფერხება დებიტორული დავალიანების ამოღებში.

ცხრილი 2.1.7. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ საკუთარი საბრუნავი საშუალებები

| წელი | 2016 | 2017 | 2018 |
|--|---------|---------|---------|
| მიმდინარე აქტივები | 26067 | 29718 | 34760 |
| მიმდინარე ვალდებულებები | (45472) | (45275) | (58876) |
| მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი სესხები | - | - | - |
| საკუთარი საბრუნავი სახსრები | (19405) | (15557) | (24116) |

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ გარდა განვიხილავთ შპს „გსქ კულას“, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, რომელიც იგივე ტიპის საქმიანობას ახორციელებს რასაც აღნიშნული საწარმო.

ანალიზის პროცესი როგორც სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შემთხვევაში იწყება მიმდინარე აქტივების სტრუქტურის შესწავლით.

ცხრილი 2.1.8. შპს „გსკ კულა“- მიმდინარე აქტივების სტრუქტურა

| მაჩვენებლები | 2017 | | 2018 | | გადახრა ხვ.წ |
|---------------------------------------|----------------|------------|----------------|------------|--------------|
| | ლარი | ხვ. წილი % | ლარი | ხვ. წილი % | |
| გადახდილი ავანსები | 378095 | 4,54 | 426253 | 4,68 | +0,14 |
| მოკლევადიანი მოთხოვნები | 4159819 | 49,96 | 3075042 | 33,78 | -16,17 |
| მარაგები | 3774266 | 45,34 | 5550395 | 60,97 | +15,63 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 12736 | 0,16 | 51398 | 0,56 | +0,4 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 8324917 | 100 | 9103088 | 100 | 0 |

2.1.8. ცხრილიდან ჩანს შპს „გსკ კულაში“ ყველაზე მაღალი წილი უჭირავს მოკლევადიან მოთხოვნებსა და მარაგებს, როგორც სტრუქტურული ანალიზის ცხრილიდან ჩანს 2017 წლითვის მნიშვნელოვანი წილი მოკლევადიან აქტივებში მოთხოვნებს უჭირავს, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით ხვედრითი წილი 16,17-ით შემცირებულია, რაც დადებითი შედეგია, ეს ნიშნავს რომ მოთხოვნები მცირდება.

ცხრილი 2.1.9. შპს „გსკ კულა“- მოკლევადიანი აქტივების დინამიკა 2017 წლის მიმართ

| | 2017 | 2018 | გადახრა |
|---------------------------------------|------|--------|---------|
| გადახდილი ავანსები | 100 | 112,73 | + 12.73 |
| მოკლევადიანი მოთხოვნები | 100 | 73.92 | -26,08 |
| მარაგები | 100 | 147 | + 47 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 100 | 403,56 | +305.56 |
| | 100 | 109.4 | 9.4 |

მიმდინარე აქტივებში რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს ესაა სასაქონლო მატერიალური მარაგები როგორც სტრუქტურული ანალიზის ცხრილიდან ჩანს (იხ.ცხრილი 2.1.8.) 2017 წელთან შედარებით მარაგების ხვედრითი წილი გაზრდილია 15,63 ით.

გაზრდილია ფულადი საშუალებების წილი 0,4-ით რაც გულისხმობს 2017 წელთან შედარებით ფულადი საშუალებების ზრდას 305 % ით. ეს ზრდა დადებით ნიშნად შეიძლება ჩაითავლოს, ფულის არსებობა მიმანიშნებელია იმ გარემოებისა რომ საწამროს გააჩნის რესურსები გარკვეული ღონისძიებების უზუნველსაყოფად.

გაზრდილია გაცემული ავანსების წილი, რაც დადებით ნიშნად ჩაითვლება იმ შემთხვევაში თუ დროულად შესრულდება ვალდებულებები მომწოდებლების მიერ.

იმის გასარკვევად თუ რამდენად სწრაფად ხდება მოთხოვნების , მარაგების თუ სხვა მიმდინარე აქტივების ბრუნვა გამოთვლილ უნდა იქნეს კერძო მაჩვენებლების ბრუნვის პერიოდი და ბრუნვის რიცხვი.

ცხრილი 2.1.10. შპს „ გსკ კულა“-მიმდინარე აქტივების ბრუნვის კერძო მაჩვენებლები

| მაჩვენებლები | 2017 | 2018 |
|---|-------|-------|
| დებიტორული დავალიანების ბრუნვის პერიოდი (დღე) | 73 | 150 |
| ნედლეულსა და მასალებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი | 19,09 | 52,54 |
| ნახევარფაბრიკატებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი | 35 | 76 |
| მზა პროდუქციის მარაგებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი | 62,57 | 169 |
| დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი | 5 | 2,4 |
| ფულის ბრუნვის რიცხვი | 1635 | 273 |
| ნედლეულსა და მასალებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი | 19 | 7 |
| ნახევარფაბრიკატები ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი | 11 | 5 |
| მზა პროდუქციის მარაგებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვი | 6 | 2 |
| საკუთარი საბრუნავი საშუალებების დამაგრების კოეფიციენტი | 0,79 | 1,04 |

დებიტორული დავალიანების ბრუნვის პერიოდს ვიყენებთ იმის გასარკვევად რომ განვსაზღვროთ რამდენად სწრაფად ბრუნდება თანხა საწარმოში , შპს კულას შემთხვევაში (იხ.ცხრილი 2.1.10.) 2017 წლის მდგომარეობით 73 ხოლო 2018 წლის მდგომარეობით 150 დღეა საჭირო დებიტორული დავალიანების დასაფარად, ამ მაჩვენებლის ზრდა უარყოფით შედეგის მომტანია საწარმოსთვის. აღსაღნიშნავია ის გარემოებაც რომ ბრუნვის რიცხვი 2018 წელს შემცირებულია 2017 წელთან შედარებით შესაბამისად ფული ძალიან ნელი ტემპით ბრუნდება უკან .

იმის მიუხედავად რომ დებიტორული დავალიანების რაოდენობა შემცირდა ბრუნვის რიცხვის შემცირებამ დებიტორული დავალიანების ნაშთი გაზარდა. აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად.

რაც შეეხება ნედლეულისა და მასალების მარაგებს როგორც ცხრილიდან ჩანს მდგომარეობა 2018 წელს გაუარესებულია 2017 წელთან შედარებით, ბრუნვის პერიოდი გაზრდილია, ხოლო ბრუნვის რიცხვი შემცირებული, აქედან გამომდინარე ბრუნვის პერიოდის გაზრდის გამო მატერიალურ დანახარჯებში მასალებში ავანსირებული ღირებულება სწრაფად ვერ გადადის.

რაც შეეხება ნახევარფაბრიკატებისა და სხვა მარაგებს 2017 წელთან შედარებით 2018 წელს ბრუნვის რიცხვი შემცირებულია ხოლო პერიოდი გაზრდილი რაც არ არის კარგი შედეგი საწარმოსათვის, შესაბამისად ნახევარფაბრიკატებში ავანსირებულ ღირებულებას დროულად ვერ შემოაქვს ფულადი სახსრები საწარმოში. აღწერილი გარემოებები საწარმოში არსებულ სიტუაციას აუარესებენ.

ნახევარფაბრიკატების მსგავსად მზა პროდუქციის ბრუნვის პერიოდი გაზრდილია, ხოლო რიცხვი შემცირებულია ეს ფაქტიც მანიშნებელია იმისა, რომ ვერ ხერხდება მზა პროდუქციის რეალიზაცია დროულად, რასაც აყოვნებს ბრუნვის რიცხვის ზრდა 106 დღით შესაბამისად ფულადი საშუალებების მიღებაც იგვიანებს ამ ცვლილების გამო ფულის ბრუნვის რიცხვი შემცირებულია, რაც იმის მანიშნებელია რომ მატერიალურ მარაგებში ავანსირებული ფული ნელა ბრუნდება უკან.

რაც შეეხება დამაგრების კოეფიციენტს როგორც გაანგარიშებიდან ჩანს (იხ. ცხრილი 2.1.10.) იზრდება 2018 წელს 2017 წელთან შედარებით ბრუნვაში უძრავად მყოფი სახსრები და შესაბამისად სუსტდება გადახდისუნარიანობა. როგორც 2017 წელს ასევე 2018 წელს აღნიშნული კოეფიციენტი არაა სახარბიელო ფირმისთვის.

გარდა მოკლევადიან აქტივებისა, შესწავლილ იქნა მოკლევადიანი ვალდებულებების სტრუქტურა.

ცხრილი 2.1.11. შპს „გსქ კულა“- მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურა

| მოკლევადიანი ვალდებულებები | 2017 | 2017 ხვედრითი წილი | 2018 | 2018 ხვედრითი წილი |
|--|------------------|--------------------|------------------|--------------------|
| მოკლევადიანი სესხები | (1848635) | 69,81 | (1949596) | 63,95 |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | (600000) | 22,66 | (939625) | 30,82 |
| საგადასახადო ვალდებულებები | (199184) | 7,52 | (159115) | 5,2 |
| გადასახდელი ხელფასები | | | | |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | (2647819) | | (3048336) | |

როგორც 2.1.11. ცხრილი აჩვენებს მოკლევადიან სესხებს მიმდინარე ვალდებულებებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს ორივე წლის მდგომარეობით. მოკლევადიანი სესხები იზრდება 10096 ლარით 2018 წელს , მაგრამ მისი ხვედრითი წილი მცირდება მთლიანი ვალდებულებების მიმართ, რაც გამოწვეულია გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილის ზრდით .

2.1.12. შპს „გსქ კულა“- მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება 2018 წელს წინა წელთან შედარებით

| მოკლევადიანი ვალდებულებები | 2017 | 2018 |
|--|------|--------|
| მოკლევადიანი სესხები | 100 | 105,46 |
| გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | 100 | 156,60 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 100 | 79,89 |
| გადასახდელი ხელფასები | - | - |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 100 | 182,17 |

რაც შეეხება გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილს 2017 წელს მიმდინარე აქტივების 22,66 % ხოლო 2018 წელს 30,82 % უჭირავს ეს გარემოება მიანიშნებს იმ ფაქტზე , რომ გარკვეული ტიპის საქმიანობის დასაფინანსებლად გრძელვადიანი სესხებიც გამოიყენება.

დადებითი გადახრა არსებობს საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში, როგორც ცხრილიდან ჩანს 2018 წელს 2,32 პროცენტით იკლებს ვალდებულებების

ხვედრითი წილი, რაც ნიშნავს იმას, რომ მთლიანი გადასახადის 1/5 ნაწილია დაფარული, უკეთესი იქნება თუ ეს მაჩვენებელი უფრო გაუმჯობესდება.

რაც შეეხება წმინდა მიმდინარე აქტივებსა და საკუთარ საბრუნავ საშუალებებს

2.1.13. შპს „გსკ კულა“ საკუთარი საბრუნავი საშუალებები 2017-2018 წლებში(ლარი)

| მაჩვენებლები | 2017 | 2018 |
|--|-----------|-----------|
| მიმდინარე აქტივები | 8324917 | 9105088 |
| მიმდინარე ვადებულებები | (2047819) | (2108711) |
| მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებები | (600000) | (939625) |
| საკუთარი საბრუნავი სახსრები | 5677098 | 6056752 |

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, (იხ. ცხრილი 2.1.13.) რომ საწარმოს საბრუნავი საშუალებები ყოველთვის ჰქონდა და ისინი დინამიკაში ყოველწლიურად იზრდებოდა.შესაბამისად მიმდინარე აქტივებით შესაძლებელია მიმდინარე ვალდებულებების სრულად დაფარვა.

ამრიგად თუ ორივე ფირმის მონაცემებს შევადარებთ ერთმანეთს დავინახავთ რომ თითოეული მათგანისათვის მნიშვნელოვანია მოკლევადიანი მოთხოვნების შემცირება , ფულადი სახსრების დროული ამოღება, ვალდებულებების დროულად გასტუმრება და მარაგების ბრუნვის რიცხვისა და პერიოდის დაჩქარება განსაკუთრებით ეს უკანასკნელი საჭიროა შპს გსკ კულასთვის.

2.2. ფინანსური სტაბილურობის ანალიზის შედეგები.

დღევანდელი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე საწარმო თავისი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას აწყდება სხვა და სხვა პრობლემებს და შესაბამისად მსგავსი სიტუაცია განაპირობებს იმას , რომ შესაძლებელია მან ვერ განახორციელოს საკუთარი მიზნები. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს სამეწარმეო, კომერციული, ფინანსური, მმართველობითი, დარგობრივი, სავალუტო თუ სახელმწიფო ცვლილებებით. რის შედეგადაც საწარმო ვერ ახერხებს მისთვის სასურველი შემოსავალის მიღებას და მის მიერ გაწეული ხარჯი საბოლოოდ ფინანსური ხასიათის დანაკარგში გამოისახება, როგორცაა მოსალოდნელი მოგების შემცირება.

მიუხედავად რისკების მრავალფეროვნებისა ძირითადად რისკები ორ ჯგუფად ჯგუფდება ესენია საწარმოს შიგა რისკები და საწარმოს გარე რისკები.

შიგა რისკებს მიეკუთვნება : სამეწარმეო, კომერციული, ფინანსური, საინოვაციო, ტექნიკური რისკები.

გარე რისკებს მიეკუთვნება : დარგობრივი, სახელმწიფო, სავალუტო, პროცენტების, საერთაშორისო რისკები.

შესაბამისად იმისათვის, რომ ნორმალურად შეძლოს საწარმომ ფუნქციონირება მნიშვნელოვანია რისკების დროულად აღმოჩენა , მისი შეფასება, საფრთხის განსაზღვრა, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რაც გულისხმობს რისკის აღმოფხვრას ან რისკის შეფერხებას, თავიდან აცილებას.

რისკების დასახასიათებლად გამოიყენება ლევერიჯი. ლევერიჯი ესაა აქტივების და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. განახსვავებენ საოპერაციო და ფინანსურ ლევერიჯს .

საოპერაციო ლევერიჯი ახასიათებს- წარმოებისა და რეალიზაციის პროცესში არსებულ რისკებს. საოპერაციო რისკი შეიცავს რისკს რომელიც დაკავშირებულია მუდმივი ხარჯების არაეფექტიან გამოყენებასთან , შესაბამისად ხარჯების არაეფექტური გამოყენება გამოიწვევს მოგების შემცირებას.

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლებს რომელიც იკვლევს კავშირს საწარმოს სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის. იგი ასახავს თუ რა გავლენას ახდენს საკუთარი და ნასესხები საშუალებების ცვლილება მოგებაზე. ფინანსური ლევერიჯის დონე იზრდება, მაშინ თუ იზრდება ნასესხები სახსრების დონე შესაბამისად იზრდება ფინანსური რისკი და ვარიაციის გაქანება.

ითვლება, რომ თუ ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი 1-ზე მეტია რისკი არსებობს, ხოლო თუ ლევერიჯის კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია მაშინ რისკი არ არსებობს.

ცხრილი 2.2.1. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ფინანსური ლევერიჯი.

| კაპიტალის ლევერიჯი | 2016 | 2017 | 2018 |
|---|-------|-------|------|
| აქტივები/საკ.კაპიტალი | 2,66 | 2,49 | 2,26 |
| საოპერაციო მოგება/მოგ.დაბეგვრამდე | 24 | 2,13 | 1,23 |
| (საკ.კაპ+გრ.სახს)/ (საკ.კაპ-პრივ.სააქ.კაპ) | 2,06 | 2,13 | 1,94 |
| (საკ.კაპ-სსს+გრ.ვად)/პერმ.კაპ | 1,264 | 1,112 | 1,06 |
| პროცენტის ლევერიჯი | | | |
| (საპ.ხარჯი+პრივ.აქც.დივ)/(მოგ.დაბ.+საპ.ხარჯი) | 1,06 | 0,49 | 0,35 |

საანალიზო საწარმოში საკუთარი კაპიტალის წილი 2016-2018 წლისათვის 50 %-ზე ნაკლებია, აქტივები აღემატება საკუთარ კაპიტალს, შესაბამისად რაც უფრო მეტია აქტივები საკუთარ კაპიტალზე მით უფრო მაღალია ნასესხები კაპიტალის წილი. კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას შემთვევაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად საკუთარი კაპიტალი იზრდება, რაც მიანიშნებს ნასესხები სახსრების შემცირებაზე.

საოპერაციო მოგების თანაფარდობა მოგება დაბეგვრამდე, ამ მაჩვენებლის მაქსიმალური საზღვარი ერთის ტოლია, საანალიზო საწარმოს მაგალითზე ჩანს, რომ 2016 წლისათვის ის 24-ის, 2017 წლისათვის 2,13 ხოლო 2018 წლისათვის 1,23 -ის ტოლია, რაც მაღალია ეს მაჩვენებელი ნიშანია იმას, რომ გადასახდელი პროცენტის

წილი მეტია შესაბამისად ლევერიჯის მაჩვენებელიც მაღალია, საწარმო რისკის წინაშე დგას .

რაც შეეხება საპროცენტო ლევერიჯს 2016 წლისათვის ეს მაჩვენებელი მაღალია, რაც მანიშნებელია იმისა, რომ საწარმო მაღალი რისკის წინაშე დგას მას არ აქვს რესურსი სესხის უზრუნველსაყოფად, ხოლო 2017 და 2018 წლისათვის ეს მაჩვენებელი მცირდება ის დაბალია ერთზე , რაც დადებით ნიშნად ჩაითვება საწარმოსათვის.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ ყოველწლიურად როგორც კაპიტალის ისე პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებელი თანდათანობით მცირდება, რაც მიანიშნებს რისკების შემცირებაზე.

განხილული კოეფიციენტებიდან ყველაზე ზოგად მაჩვენებლად მიიჩნევა საოპერაციო მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან შესაბამისად ჩამოვყალიბოთ ფინანსური ლევერიჯის ექვს ფაქტორიანი მოდელი:

- I. საოპერაციო მოგება/ ამონაგებთან -მისი ზრდა მიანიშნებს გაყიდვების რისკის ზრდაზე;
- II ამონაგები / რეალიზაციიდან მიღებული მოგება - ეს მაჩვენებელი მიგვითითებს საწარმოო დანახარჯების არაეფექტიან გამოყენებაზე;
- III მოგება რეალიზაციიდან/ აქტივების საშ. წლ.ნაშთი - ამ მაჩვენებლის ზრდა აქტივების დაძველებაზე მიგვითითებს;
- IV აქტ.საშ.წლ.ნაშთი /საკ.კაპ.საშ.წლიური ნაშთი - ამ მაჩვენებლის ზრდა საკრედიტო რისკის ზრდის მანიშნებელია;
- V საკ.კაპიტალი/მოგება დაბეგვრამდე - მისი ზრდა დივიდენდის დაფარვის რისკის ზრდის მანიშნებელია;
- VI წლიური მოგება/წმინდა მოგება - მისი ზრდა საგადასახადო რისკის ზრდის მანიშნებელია.

ცხრილი 2.2.2. ფინანსური ლევერიჯის ფაქტორული ანალიზი სს „კოკა-კოლა

ბოთლერ ჯორჯიას“ მაგალითზე

| მაჩვენებლები | 2016 | 2017 | | 2018 | |
|---|--------|---------------|--------------------|---------------|--------------------|
| | | კოეფიციენტები | გადახრა 2016 წ-დან | კოეფიციენტები | გადახრა 2017წ- დან |
| ა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ფინანსური ლევერიჯი (საოპ.მოგ./წმ.მოგ) | 0,71 | 2,90 | +2.19 | 1,36 | -1,54 |
| მოქმედი ფაქტორები: | | | | | |
| I ფაქტორი : ს.მ / მ.რ | 0.0936 | 0.1323 | +0.0387 | 0,1318 | -0,0005 |
| II ფაქტორი : ამ/ მ.რ | 3.1657 | 2.9998 | -0.1659 | 3,1714 | +0,1716 |
| III ფაქტორი: მ.რ/აქ.საშ. წ.ნ. | 0.2177 | 0.2403 | +0.0226 | 0,2441 | +0,0038 |
| IV ფაქტორი: აქ.საშ.წლ.ნ. /საკ.კაპ.საშ.წ. ნ. | 2.7806 | 2.1290 | -0.6516 | 2,3670 | +0,238 |
| V ფაქტორი: ს.კ/მ.დ. | 3.9474 | 10.49 | +6.5445 | 5,1042 | -5,3877 |
| VI წლ.მ / წმ.მ | 1 | 1.3607 | +0.3607 | 1,1026 | -0,2581 |

| ფაქტორების გავლენა ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე: | | |
|---|---------|---------|
| | 2016 | 2017 |
| I ფაქტორის გავლენა | +0.2927 | -0.011 |
| II ფაქტორის გავლენა | -0.0524 | +0.1652 |
| III ფაქტორის გავლენა | +0.0984 | +0.0483 |
| IV ფაქტორის გავლენა | -0.2453 | +0.3467 |
| V ფაქტორის გავლენა | +1.3288 | -1.7705 |
| VI ფაქტორის გავლენა | +0.7684 | +0.3181 |
| ჯამი | +2,19 | -1,53 |

2018 წელს საოპერაციო მოგების ფარდობა ამონაგებთან შემცირებულია, რაც გაყიდვების რისკის შემცირებაზე მიუთითებს. მეორე ფაქტორის შემთხვევაში ამონაგების რეალიზაციასთან ფარდობის მაჩვენებელი იზრდება, რაც ხარჯების არაეფექტურ გამოყენებაზე მიუთითებს, შესაბამისად ფინანსური რისკი იზრდება.

მესამე ფაქტორის შემთხვევაში რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან, რეალიზაციიდან მიღებული მოგება გაზრდილია უფრო მეტად ვიდრე აქტივების, შესაბამისად აქტივის დამლევის რისკია წარმოშობილი. მეოთხე ფაქტორის შემთხვევაში გაზრდილია საკრედიტო და საპროცენტო რისკი. მეხუთე ფაქტორი შემთხვევაში საკუთარი კაპიტალის წლიურ მოგებასთან ფარდობა შემცირებულია, რაც მიუთითებს იმაზე რომ მოგება უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე საკუთარი კაპიტალი, შესაბამისად ფინანსური რისკები შემცირებულია, რაც შეეხება მეექვსე ფაქტორს წლიური მოგების ფარდობას წმინდა მოგებასთან ეს მაჩვენებელიც გაზრდილია, რაც საგადასახადო რისკის ზრდაზე მიუთითებს.

შემდეგ განვიხილავთ შპს გსქ კულას ლევერიჯის მაჩვენებლებს.(იხ. ცხრილი 2.2.3).

შპს „გსქ კულას“ აქტივების ლევერიჯის მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საკუთარი კაპიტალის წილი მაღალია 50%-ზე, რაც ნიშნავს რომ ნასესხები კაპიტალის წილი დაბალია შესაბამისად ფინანსური რისკი არ არსებობს საწარმოში, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ეს მაჩვენებელი 2018 წისათვის მცირდება.

ცხრილი 2.2.3. შპს „გსქ კულას“ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები.

| კაპიტალის ლევერიჯი | 2017 | 2018 |
|---|------|------|
| აქტივები/საკ.კაპიტალი | 1,73 | 1,37 |
| საოპერაციო მოგება/მოგ.დაბეგვრამდე | 2,13 | 1,23 |
| (საკ.კაპ+გრ.სეხს)/(საკ.კაპ-პრივ.სააქ.კაპ) | 1,13 | 1,09 |
| (საკ.კაპ-სსს+გრ.ვად)/პერმ.კაპ | 0,24 | 0,25 |
| პროცენტის ლევერიჯი | | |
| (საპ.ხარჯი+პრივ.აქც.დივ)/(მოგ.დაბ.+საპ.ხარჯი) | 0,09 | 0,10 |

რაც შეეხება საოპერაციო მოგების ფარდობას დაბეგვრამდე მოგებასთან 2017 წლის მონაცემების მიხედვით მოზიდული სახსრების წილი მაღალია შესაბამისად ფინანსური რისკიც მაღალია საწარმოსათვის, ეს მაჩვენებელი 2018 წელს მცირდება, რაც დადებით ტენდენციად ჩაითვლება.

ჯამური ლევერიჯის შემთხვევაში მაჩვენებელი 1-ზე მაღალია საანგარიშო წლისათვის შესაბამისად, დაფინანსების წყაროებში არსებობს გრძელვადიანი სესხები, რაც წარმოშობს პროცენტის დაფარვის რისკს.

საკუთარი კაპიტალის ლევერიჯის მაჩვენებლის შემთხვევაში რისკი მაღალია, რადგან მოზიდული სახსრების რაოდენობა გაზრდილია ეს მაჩვენებელი 2017 წლისგან განსხვავებით იზრდება 2018 წელს, რაც არასასურველი შედეგია.

რაც შეეხება პროცენტის ლევერიჯს აქ რისკი არ არსებობს, რაც მიუთითებს საწარმოს ვალდებულებების გასტუმრების შესაძლებლობაზე.

ცხრილი 2.2.4. ფინანსური ლევერიჯის ფაქტორული ანალიზი შპს „გსქ კულას“ მაგალითზე

| ფინანსური ლევერიჯზე მოქმედი ფაქტორები | 2017 | 2018 | გადახრა |
|---|-------|-------|---------|
| ფინანსური ლევერიჯი საოპ.მ/წმ.მ | -1,5 | | |
| მოქმედი ფაქტორები. | | | |
| I ფაქტორი : ს.მ / რ | 0.225 | 0.164 | -0.0616 |
| II ფაქტორი : ამ/ რ | 2.313 | 2.96 | +0.647 |
| III ფაქტორი: მ.რ/აქ.საშ. წ.ნ. | 0.88 | 0.282 | -0.597 |
| IV ფაქტორი: აქ.საშ.წლ.ნ. /საკ.კაპ.საშ.წ. ნ. | 1.535 | 1.545 | +0.009 |
| V ფაქტორი: ს.კ/მ.დ. | 3.657 | 5.051 | +1.39 |
| VI წლ.მ / წმ.მ | 1 | 1 | 0 |

ფაქტორების გავლენა ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე

| ფაქტორების გავლენა ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე | გადახრა 2017 წ-დან |
|--|--------------------|
| I ფაქტორის გავლენა | -0,70 |
| II ფაქტორის გავლენა | +0,52 |
| III ფაქტორის გავლენა | -1,62 |
| IV ფაქტორის გავლენა | +0,00476 |
| V ფაქტორის გავლენა | +0,295 |
| VI ფაქტორის გავლენა | 0 |
| ჯამი: | -1,5 |

შპს „გსქ კულას“ შემთხვევაში 2018 წელს საოპერაციო მოგების ფარდობა ამონაგებთან შემცირებულია, რაც გაყიდვების რისკის შემცირებაზე მიუთითებს. მეორე ფაქტორის მაჩვენებელი, ამონაგები შეფარდებული რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან გაზრდილია, რაც ხარჯების არაეფექტურ გამოყენებაზე მიუთითებს, შესაბამისად ფინანსური რისკი იზრდება. მესამე ფაქტორის შემთხვევაში რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან, აქ რეალიზაციიდან მიღებული მოგება შემცირებულია აქტივები გაზრდილი, შესაბამისად აქტივის დაძლევის რისკი არ არსებობს. მეოთხე ფაქტორის შემთხვევაში გაზრდილია საკრედიტო და საპროცენტო რისკი. მეხუთე ფაქტორი შემთხვევაში საკუთარი კაპიტალის წლიურ მოგებასთან ფარდობა მიუთითებს, რომ საკუთარი კაპიტალი გაზრდილია ვიდრე მოგება, შესაბამისად ფინანსური რისკები გაზრდილია.. რაც შეეხება მეექვსე ფაქტორს წლიური მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან აღნიშნული მაჩვენებელი არ იცვლება ეს რისკის არარსებობაზე მიუთითებს.

ამრიგად თუ ანალიზის შედეგს დავაკვირდებით ლევერიჯის თვალსაზრისით შპს „გსქ კულას“ უფრო დაბალრისკიანი კომპანიაა ვიდრე სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ .

2.3 გადახდისუნარიანობის ანალიზის შედეგები.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზი მნიშვნელოვანია საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის, მისი ფინანსური სტაბილურობის ხასიათის განსაზღვრისათვის. საწარმოში შეიძლება არსებობდეს სხვა და სხვა სიტუაცია სტაბილურობის თვალსაზრისით.

თვალსაჩინოებისათვის განვსაზღვროთ სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ თუ რამდენად სტაბილურია საწარმოში არსებული მდგომარეობა.

ცხრილი 2.3.1 სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები

| მაჩვენებლები | 2016 | 2017 | 2018 |
|---|-------|-------|--------|
| საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი | 0,601 | 0,666 | 1,79 |
| საკ.კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი | 0,38 | 0,41 | 0,44 |
| საკ. კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან | 0,554 | 0,495 | 0,5703 |
| საკ. საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა | 4,15 | -0,52 | -0,31 |
| მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი | 0,62 | 0,59 | 0,557 |
| საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი | -0,47 | -0,21 | -0,12 |
| მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი | 0,48 | 0,58 | 0,59 |
| მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი | -3.51 | -1.86 | -1.18 |
| ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი | 2.66 | 2.49 | 2.25 |
| %-ის დაფარვის კოეფიციენტი | 0 | 2.19 | 2.27 |

ფინანსური სტაბილურობის ზოგადი დახასიათებისთვის გამოიყენება საკუთარი სახსრების მოზიდულთან ფარდობის კოეფიციენტი, როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 2.3.1) ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება ყველაზე

კარგი შედეგი 2018 წელს ფიქსირდება ეს ნიშნავს, რომ საკუთარი კაპიტალით შესაძლებელია სრულიად დაფარულ იქნას მოზიდული სახსრები.

რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტს იგი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში, სამივე წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი დაბალია 0,5-ზე, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ საკუთარი კაპიტალის ხარჯზე აქტივების ნახევარზე ნაკლებია შეძენილი შესაბამისად ვალდებულებები იზრდება, რაც რისკ ფაქტორს წარმოადგენს.

საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან საწარმოს რისკის შესაფასებლად გამოიყენება, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 0,557 რაც 2017 წლის მაჩვენებელს აღემატება 0,075-ით ეს ცვლილება ნიშნავს, რომ ვალდებულებები შემცირებულია შესაბამისად შემცირებულია რისკიც.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2016 წლიდან 2018 წლამდე თანდათან იკლებს შესაბამისად მცირდება აქტივების ვალდებულებებით დატვირთვის ხარისხი, ეს დადებით ნიშნად ჩაითვლება საწარმოსათვის.

მატერიალური მარაგების უზურუნველყოფა საკუთარი სახსრებით ეს მაჩვენებელი 1-ზე დაბალია, რაც მანიშნებელია იმისა, რომ საკუთარი საბრუნავი საშუალებებით ვერ ხდება მარაგების დაფინანსება შესაბამისად ფირმა საჭიროებს დამატებით სახსრების მოზიდვას.

რაც შეეხება ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტს სს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას შემთხვევაში ეს მაჩვენებელი ერთზე მაღალია, შესაბამისად რისკიც მაღალია, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდება.

რაც შეეხება პროცენტის დაფარვის კოეფიციენტს აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება ერთს, რაც მანიშნებელია იმისა, რომ საწარმოს არ აქვს პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებული პრობლემები.

გარდა ფინანსური სტაბილურობის ფარდობითი მაჩვენებლებისა, შესაძლებელია განხილულ იქნეს აბსოლუტური მაჩვენებლებიც,რის დასადგენადაც საკმარისი იქნება ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია. ისეთი საანალიზო საწარმოს მაგალითზე როგორც სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ნათელია, რომ

აბსოლუტური სტაბილურობის შემთხვევა ვერ განიხილება, რადგან მატერიალური მარაგები მეტია საკუთარ საბრუნავ საშუალებებზე.

საანალიზო ფირმის შემთხვევაში საკუთარი საბრუნავი სახსრებით ვერ ხდება მარაგების უზრუნველყოფა, მაგრამ ფირმას აქვს მიღებული მოკლევადიანი სესხები, რომლითაც ახერხებს მარაგებით საწარმოს სრულ უზრუნველყოფას შესაბამისად ნორმალური ფინანსური სტაბილურობის შესაბამისი სიტუაციაა საწარმოში.

გარდა სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ანალიზისა, განვიხილოთ მეორე საანალიზო საწარმოს შპს გსქ კულას სტაბილურობის ანალიზის მაჩვენებლები.

ცხრილი 2.3.2 შპს „გსქ კულა“- ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები.

| მაჩვენებლები | 2017 | 2018 |
|---|-------|-------|
| საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი | 1,867 | 1,80 |
| საკ.კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი | 0,65 | 0,64 |
| საკ. კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან | 0,88 | 0,87 |
| საკ. საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა | 0,68 | 0,45 |
| მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი | 0,348 | 0,356 |
| საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი | 1,13 | 0,678 |
| მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი | 0,253 | 0,254 |
| მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტი | 1,504 | 1,090 |
| ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი | 1,535 | 1,553 |
| %-ის დაფარვის კოეფიციენტი | 12,78 | 8,19 |

საანალიზო საწარმოს შპს კულას მაგალითზე საკუთარი და მოზიდული საბრუნავი სახსრების თანაფარდობის შემთხვევაში საკუთარი სახსრების წილი მაღალია 1-ზე, რაც მიანიშნებს ფირმის სტაბილურობაზე. რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტს აქ ორივე წლისათვის კოეფიციენტი უცვლელია ის 0,65 ტოლია ეს მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ აქტივების უმეტესი ნაწილი საკუთარი საბრუნავი სახსრებითაა შეძენილი .

მსგავსად შეიძლება დახასიათდეს საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ კაპიტალთან. რაც შეეხება საკუთარი საბრუნავი სახსრების უზრუნველყოფის კოეფიციენტს 2017 წლისთვის ეს მაჩვენებელი აღემატება 0,68-ს, რაც დადებითი ნიშანია, ხოლო 2018 წლისათვის ეს მაჩვენებელი 0,45 ის ტოლია, რაც არ ჩაითვლება სასურველ შედეგად.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი დაბალია 0,5-ზე რაც დადებითი შედეგია რახან ვალდებულებების წილი ნაკლებია შესაბამისად საწარმოს შესწევს უნარი ვალდებულებების უმეტესობა გაისტუმროს აქტივებით, აქტივები ნაკლებადაა დატვირთული მოზიდული სახსრებით.

რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტს 2017 წლისათვის ის 1,13-ის ტოლია, ხოლო 2018 წლისათვის 0,68-ის რაც ნიშნავს, რომ საკუთარი კაპიტალის უფრო მეტი წილია დაბანდებული საბრუნავ საშუალებებში ეს დადებითი შედეგის მაჩვენებელია.

გარდა აღნიშნული კოეფიციენტებისა სასურველია ყურადღება გავამახვილოთ , მატერიალური მარაგების დაფარვის კოეფიციენტზე, აღნიშნული მაჩვენებელი 1-ზე მეტია, რაც მანიშნებელია იმისა, რომ საკუთარი საბრუნავი სახსრებით შესაძლებელია მატერიალური მარაგების სრულად უზრუნველყოფა.

ასევე დადებითი შედეგი შეინიშნება პროცენტის დაფარვის კოეფიციენტში, საწარმოს არ აქვს შეფერხება აღნიშნული პროცენტის გასტუმრებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად მსგავსი მაჩვენებლებისა ფინანსური დამოუკიდებლობის მაჩვენებელი რისკის შემცველია , შედეგი აღემატება 1-ს რაც საწარმოში რისკის არსებობაზე მიუთითებს.


გარდა ფარდობითი მაჩვენებლებით შეფასებისა, ფინანსური სტაბილურობა აბსოლუტური მაჩვენებლითაც ხასითდება, შპს კულას შემთხვევაში მატერიალური მარაგები ნაკლებია საკუთარ კაპიტალზე, როგორც 2017 წელს ასევე 2018 წელს, რაც ფორმის აბსოლუტურ ფინანსურ სტაბილურობაზე მიუთითებს.

გარდა სტაბილურობის მაჩვენებლებისა ყურადღება გასამახვილებელია ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლებზე, როგორც 1.3 თავშია განხილული ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო

გადახდისუნარიანობა ვალდებულების უზრუნველყოფისთვის პირობების შექმნა. თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

ცხრილი 2.3.3. საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2016-2018 წლისთვის


| საანალიზო საწარმოები | ლიკვიდურობის კოეფიციენტები | | | | | | | | |
|----------------------|----------------------------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|--------|
| | აბსოლუტური | | | სწრაფი | | | საერთო | | |
| | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 |
| სს კოკა-კოლა | 0,0289 | 0,0605 | 0,0335 | 0,2836 | 0,4608 | 0,520 | 0,4428 | 0,6564 | 0,7644 |
| შპს კულა | X | 0.0048 | 0.0168 | X | 1.575 | 1.0256 | X | 3.144 | 2.986 |



დიაგრამა 2.3.1. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები


აბსოლუტური ლიკვიდურობა, საანალიზო საწარმოებს არ აქვთ დასაშვები ნორმის ფარგლებში, რაც მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ფულადი საშეუღლებითა და მათი ექვივალენტებით მიმდინარე ვალდებულებების უზრუნველყოფა ვერ ხერხდება სათანადოდ.

სწრაფი ლიკვიდურობის შემთხვევაში სს კოკა-კოლას ცუდი მდგომარეობა აქვს, რადგან მის მაჩვენებელი 1-ზე დაბალია, ეს მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ ფულადი საშუალებებით და დებიტორული დავალიანებით ვერ უზრუნველყოფს საწარმო მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრებას, შპს კულას შემთხვევაში მდგომარეობა საპირისპიროა.



დიაგრამა 2.3.2 შპს „გსქ კულას“ ლიკვიდურობის კოეფიციენტები

რაც შეეხება საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტს, როგორც ზევით აღვნიშნეთ ის უნდა მერყეობდეს 2-სა და 3-ს შორის, სს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას მაჩვენებლები ვერ ხვდება ამ ზღვარში, ხოლო შპს კულას შესწევს უნარი მიმდინარე აქტივებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები.



დიაგრამა 2.3.3. საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2018 წლისთვის

ლიკვიდურობასთან ერთად შეისწავლება საკუთარი საბრუნავი საშუალებების მანევრირებისა და ფულადი უსაფრთხოების მაჩვენებლები.

ცხრილი 2.3.4. საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების, ფულადი უსაფრთხოებისა და ლიკვიდურობის მაჩვენებლები

| მაჩვენებლები | სს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯია | | | შპს გსქ კულა | |
|---|----------------------------|--------|-------|--------------|--------|
| | 2016 | 2017 | 2018 | 2017 | 2018 |
| სსს მანევრირების კოეფიციენტი | -0,05 | -0,032 | -0,14 | 0,002 | 0,0084 |
| ფულადი უსაფრთხოების დიაპაზონი | 50,78 | 52,48 | 82,92 | 174,52 | 151,94 |
| მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი | 0,038 | 0,0183 | 0,065 | -0,0084 | -1,824 |
| პერსპექტიული ლიკვიდურობა | 0,132 | 0,043 | 0,10 | 0,170 | 0,162 |
| კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 0,28 | 0,41 | 0,52 | 1,439 | 1,025 |

საკუთარი საბრუნავი საშუალებების მანევრირების კოეფიციენტი აჩვენებს თუ რა წილი უჭირავს ყველაზე ლიკვიდურ აქტივს საკუთარ საბრუნავ საშუალებებში, მაჩვენებელი სს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას შემთხვევაში საანალიზო წლისათვის ნაკლებია ნულზე, რაც არაა სახარბიელო შედეგი, ხოლო შპს კულას შემთხვევაში 2017-2018 წლისათვის აღემატება 0-ს რაც უკეთესი შედეგია ვიდრე განხილული საწარმოს, ეს მაჩვენებელი უნდა მერყეობდეს 0-სა და 1-ს შორის. მისი სიდიდე საწარმოში ფულადი სახსრების საჭიროებაზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება მიმდინარე გადახდისუნარიანობისა და პერსპექტიული ლიკვიდურობის კოეფიციენტს სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შემთხვევაში ვალდებულებები აღემატება მიმდინარე მოთხოვნებს ასევე ვერ ხერხდება ფულადი საშუალებებით აღნიშნული ვალდებულებების სრულად გასტუმრება, რაც უარყოფით შედეგს წარმოადგენს, შპს კულას შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლის განხილვისას საპირისპირო მდგომარეობაა.

კრიტიკული ლიკვიდურობის შემთხვევაში არც ერთი საანალიზო ფირმის მაჩვენებელი არ მერყეობს 0,7-0,8-ს შორის. სს კოკა-კოლას არ აქვს საკმარისი ფულადი სახსრები და დებიტორული დავალიანებები, რომ მოკლევადიანი

მოთხოვნების ნახევარზე მეტი გაისტუროს, ხოლო შპს კულას შესწევს ეს უნარი, ის არ განიცდის ფულადი სახსრების ნაკლებობას.

რაც შეეხება ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას ახასიათებს გადახდისუნარიანობა, როგორც უკვე აღინიშნა ესაა საწარმოს უნარი დროულად დაფაროს ყველა გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი ვალდებულება.

ცხრილი 2.3.5. საანალიზო საწარმოს გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

| საწარმოთა დასახელება | გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები | | | | | |
|----------------------------|--|--------|-------|--------------------------|--------|-------|
| | საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები | | | ინვესტირების კოეფიციენტი | | |
| | 2016 | 2017 | 2018 | 2016 | 2017 | 2018 |
| სს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯია | 1,6015 | 1,6669 | 1,794 | 0.4381 | 0,4772 | 0.59 |
| შპს კულა | X | 2,86 | 2,80 | X | 0.513 | 0.561 |

როგორც ცხრილიდან ჩანს (იხ.ცხრილი 2.3.5) სს კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ნაკლებია 2-ზე, აღნიშნული მაჩვენებელი გულისხმობს იმას რომ საწარმო კრედიტორებზეა დამოკიდებული, რაც შეეხება შპს გსქ კულას ეს მაჩვენებელი 2-ს აღემატება რაც დადებითი ნიშანია ეს საწარმო კრედიტორებზე ნაკლებადაა დამოკიდებული.

რაც შეეხება ინვესტირებს კოეფიციენტს ის ახასიათებს გრძელვადიანი აქტივების იმ წილს, რომელიც დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით. 2016-2017 წლისთვის ეს მაჩვენებელი ნაკლებია 0,5-ზე, რაც მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ სს კოკა-კოლას გრძელვადიანი აქტივები საკუთარი კაპიტალის გარდა ძირითადად მოზიდული სახსრებით იფარება, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი გაუჯობესებულია, ის აღემატება 0,5-ს რაც დადებით ნიშნად ითვლება. შპს გსქ კულას შემთხვევაში ყოველი საანგარიშო წლისათვის საკუთარი კაპიტალის წილი აღემატება გრძელვადიანი აქტივების წილს ისე როგორც 2017 ასევე 2018 წლისთვის ეს მაჩვენებელი 0,5-ზე მაღალია რაც ნიშნავს იმას რომ გრძელვადი აქტივები ძირითადი ნაწილი საკუთარი კაპიტალითაა შექმნილი . (იხ.ცხრილი 2.3.5)

შრომაში ასევე გამოთვლილ იქნა გაკოტრების ცნობილი მოდელები ალტმანისა და სპრინგეითის მიხედვით. როგორც ცნობილია გაკოტრების ალტმანის კოეფიციენტი უსაფრთხოა 2,6-ის ზემოთ.

2.6-დან 1.1 მდე არის გაურკვეველობის ზონა და მენეჯმენტმა უნდა მიმართოს ისეთ ღონისძიებებს, რომლის მეშვეობით მოახერხებს გაკოტრების თავიდან არიდებას.

1.1 -ის ქვემოთ უკვე საშიში სიტუაციაა შესაბამისად კომპანია უკვე გაკოტრებულია.

რაც შეეხება სპრინგეითის მოდელს აქ კოეფიციენტი უსაფრთხოა 0.9-ის ზემოთ.

როგორც გაანგარიშებამ აჩვენა სანაალიზო საწარმოებიდან სს „კოკა-კოლა ბოთლერ ჯორჯიას“ 2018 წლისთვის გაკოტრების საფრთხე ემუქრება, რადან ალთმანის კოეფიციენტის მიხედვით 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი 1,65 ხოლო 2018 წელს 1,73- ის ტოლია.

სპრინგეითის მოდელით 2017 წლისათვის 0,70 ხოლო 2018 წელს 0,89-ის ტოლია.

რაც შეეხება შპს „გსქ კულას“ ალთმანისა და სპრინგეითის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში მერყეობს.

ალთმანის მოდელის მიხედვით გაკოტრების მაჩვენებელი 4,554 ტოლია, რაც ნიშნავს იმას, რომ არსებობს უსაფრთხო ზონა და შპს გსქ კულას გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება 2017 წლისთვის, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 2,447 რაც წინა წელთან შედარებით ცუდი შედეგია.

სპრინგეითის მოდელის მიხედვით 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი 2,14 ტოლია, ხოლო 2018 წლისთვის 1,54 -ის, როგორც გაანგარიშებამ აჩვენა ორივე წლისთვის ეს მაჩვენებელი 0,9-ზე მეტია, რაც დადებითი ნიშანია საწარმო არ დგას გაკოტრების საფრთხის წინაშე.

დასკვნა

ამრიგად, სამაგისტრო ნაშრომში „ფინანსური სტაბილურობის ანალიზის აქტუალური საკითხები სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა და შპს გსქ კულას მაგალითზე“ განხილულია საანალიზო საწარმოების სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის საკითხები. როგორც ცნობილია, საწარმოს სტაბილურობით დაინტერესებულნი არიან როგორც შიდა ასევე გარე მომხმარებლები. მათთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს სტაბილურად ანხორციელებს თუ არა საწარმო თავის ფინანსურ საქმიანობას, იღებს თუ არა სასურველ შემოსავალს, ფარავს თუ არა დავალიანებებს, რამდენად სწრაფად ფარავს დავალიანებას, როგორი თანაფარდობა შეინიშნება საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის, ხომ არ დგას საწარმო ფინანსური რისკის წინაშე. აღნიშნული საკითხების ანალიზი ეხმარება დაინტერესებულ პირებს სწორი გადასწყვეტილების მიღებაში, გააგრძელოს თუ არა ურთიერთობა და განახორციელოს თუ არა ინვესტირება მოცემულ საწარმოში სწორედ ამ საკითხებისადმი ინტერესი განაპირობებს თემის აქტუალობას.

კვლევაში შესწავლილ იქნა საანალიზო საწარმოებთა ფინანსური სტაბილურობის მდგომარეობა, საკუთარი საბრუნავი საშუალებებით უზრუნველყოფა და გადახდისუნარიანობის ხარისხი .

შრომა შესრულებულია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა“ და შპს „გსქ კულას“ მაგალითზე ორივე მათგანი აწარმოებს გამაგრირებელ სასმელებს, აღნიშნულთაგან შპს „გსქ კულა“ ახალი ფირმაა, შესაბამისად განხილულია მხოლოდ 2017-2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია.

ჩატარებული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა :

2018 წლის ბოლოს ორივე საანალიზო საწარმოში აქტივები გაზრდილია წინა წელთან შედარებით.

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შემთხვევაში მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი უფრო მაღალია ვიდრე გრძელვადიანი აქტივების და მოკლევადიანი ვალდებულებების, რაც დადებითი მაჩვენებელია. რაც შეეხება შპს „გსქ კულას“ მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი ჩამორჩება გრძელვადიანი აქტივებისა და ვალდებულებების ზრდის ტემპს.

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ საკუთარი კაპიტალის წილი აქტივებში 50%-ზე დაბალია ყოველი საანალიზო პერიოდისთვის, რაც არასასურველი შედეგია, ხოლო შპს „გსქ კულას“ შემთხვევაში სიტუაცია საპირისპიროა.

დებიტორული დავალიანებისა და კრედიტორული დავალიანების ცვლილების ტემპი არათანაბარია რაც არასასურველი მოვლენაა. სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შემთხვევაში დებიტორული დავალიანების ტემპი საგრძნობლად იზრდება, მაშინ როცა ვალდებულებების ცვლილების ტემპი დაბალია. რაც შეეხება შპს „გსქ კულას“ დებიტორული დავალიანების ტემპი საგრძნობლად მცირდება ხოლო ვალდებულებები მასთან შედარებით ნალკებად იზრდება .

ორივე საანალიზო საწარმოში არ არსებობს დაუფარავი ზარალი საანალიზო პერიოდებისთვის.

საანალიზო საწარმოს შპს „გსქ კულაში“ შემოსავალი შემცირდა 2018 წელის ბოლოს შედარებით ხოლო აქტივების ტემპი გაიზარდა, რაც არასასურველი მოვლენაა.

რაც შეეხება სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ შემოსავალი ყოველი წლისთვის უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე აქტივები ეს დადებითი მოვლენაა.

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ ხარჯები უფრო ნელა იზრდება ვიდრე შემოსავალი, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. ხოლო შპს „გსქ კულას“ შემთხვევაში შემოსავლების შემცირება უფრო სწრაფად მიმდინარეობს ვიდრე ხარჯების, რაც უარყოფითი მოვლენაა.

ფინანსური გადახდისუნარიანობისა და ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტების ანალიზისას აღმოჩნდა :

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ არ გააჩნია საკუთარი საბრუნავი საშუალებები, რაც იმას ნიშნავს რომ საკუთარი კაპიტალი დაბანდებული არ არის მიმდინარე აქტივებში, ამასთან ყოველი საანალიზო წლისათვის მოკლევადიანი აქტივები ნაკლებია მოკლევადიან ვალდებულებებზე, რაც აუარესებს ფინანსურ სტაბილურობას. შპს „გსქ კულაში“ კი დადებითი ტენდენციაა.

წმინდა ფულადი ნაკადები შემცირებულია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“, ხოლო მეორე ორგანიზაციას არ გააჩნია პრობლემა აღნიშნულ სახსრებთან დაკავშირებით.

საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 2-ზე დაბალია სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ შემთხვევაში, ხოლო შპს „გსქ კულას“ საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი მერყეობს 2-სა და 3-ს შორის ესეიგი ნორმის ფარდგლებშია .

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ მაღალია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი;

მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის პერიოდი შემცირებულია, სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“, ხოლო შპს „გსქ კულასთან“ საპირისპირო მდგომარეობაა.

მაღალი ფინანსური რისკით ხასიათდება სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, რადგან საკუთარი კაპიტრალის წილი აქტივების 50%-ზე ნაკლებია, შესაბამისად ფირმა მოზიდულ სახსრებს იყენებს დაფინანსებისათვის, ეს სახსრები თავისთავად წარმოქმნის გადასახდელ პროცენტებს, რაც ზრდის ფინანსურ რისკს . შპს „გსქ კულაში“ არ აღინიშნება მსგავსი პრობლემა, რადგან საკუთარი კაპიტალით ხდება აქტივების 50%-ზე მეტი წილის უზრუნველყოფა.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტის შემთხვევაში ორივე ფირმისთვის მაჩვენებელი 1-ზე მაღალია, რაც რისკის მანიშნებელია.

ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლების გაანგარიშების შედეგად სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიაში“ აღმოჩნდა, რომ 2018 წელს 2017 შედარებით შედარებით გაზრდილია საკრედიტო და საპროცენტო რისკი ასევე საგადასახადო რისკი.

სანაალიზო საწარმოებიდან სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ 2018 წლისთვის გაკოტრების საფრთხე ემუქრება, რადან ალთმანის კოეფიციენტის მიხედვით 2017 წლისათვის ეს მაჩვენებელი 1,65 ხოლო 2018 წელს 1,73- ის ტოლია, მაშინ როდესაც უსაფრთხოების შემთხვევაში 3-ზე მეტი უნდა იყოს, ხოლო სპრინგეითის მოდელით 2017 წლისათვის 0,70-ის ხოლო 2018 წელს 0,89-ის ტოლია. რაც შეეხება შპს „გსქ კულას“ ალთამნის მოდელის მიხედვით მას 2017 წლისთვის გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება, რადგან მისი მაჩვენებელი 4,554 ტოლია, ხოლო 2018 წლისთვის 2,447 ეს შედეგი მანიშნებელია იმისა, რომ გაკოტრების ალბათობა არის ზომიერი . სპრინგეითის მოდელით გაანგარიშებისას

აღმოჩნდა, რომ ორივე საანალიზო წლისათვის შედეგი 0,9-ს აღემატება 2017 წლისათვის ის 2,14 ტოლია ხოლო 2018 წელს 1,54-ის.

საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის შემდგომი ამაღლების მიზნით მართებულად მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი რეკომენდაციები:

- ა) ფინანსური რისკების შემცირების მიზნით მიზანშეწონილად ვთვლით საკუთარი კაპიტალის წილის ზრდას მოგების გადიდების გზით;
- ბ) შპს „გსქ კულაში“ ხარჯების მეტი ეფექტიანობით გამოყენების უზრუნველყოფა;
- გ) დებიტრული დავალიანებებიდან მისაღები თანხების ტემპის დაჩქარება სათანოდო მეთოდების გამოყენებით (ფაქტორინგი ან სასამართლო პროცედურები);
- დ) მეექვმენტმა მიაღწიოს იმას, რომ ვალდებულებების ნაწილი კონვერტირებულ იქნას ეროვნულ ვალუტაში ;
- ე) შესაძლოა საჭირო აღმოჩნდეს კადრების გადამზადება შრომითი ეფექტის ამაღლების მიზნით;
- ვ) მენეჯმენტმა იზრუნოს ახალი ინვესტორების მოპოვების მიმართულებით.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ვფიქრობ, რომ დადებით შედეგს მოუტანს საანალიზო საწარმოების ფინანსური სტაბილურობის შემდგომ ამაღლებას.

ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 (ბასს1) - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა;
2. საქმიანობის შედეგების მართვა ,წიგნი F5.ACCA.თარგმანი ინგლისურიდან .2018;
3. სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში. თბილისი 2017 ;
<https://www.saras.gov.ge/ka/Home/>
4. სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია ჯგუფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის ანგარიში. თბილისი 2018;
<https://www.saras.gov.ge/ka/Home/>
- 5.საწარმოთა გაკოტრების ალტმანის მოდელი.
<https://www.cleverism.com/altman-z-score-model-guide-examples/>
- 6.საწარმოთა გაკოტრების სპრინგეითის მოდელი.
<http://financialratiooss.com/other-financial-ratios/springate-score-definition>
7. შპს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ცენტრი, შპს გსქ კულა ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა.თბილისი 2018;
8. ჯიქია მ. ,, ფინანსური ანალიზი“, გამომცემლობა ,, მერიდიანი“,თბილისი 2011;
- 9.ჯიქია მ. ეკონომიკური ანალიზი, გამომცემლობა ,, მერიდიანი“
10. ჭილაძე ი., ,, ფინანსური ანალიზი“ გამომცემლობა ,,მერიდიანი“,თბილისი 2018;
11. ჭილაძე ი., მასურაძე მ., ვარდიაშვილი მ., კოზმანაშვილი ლ., მოდებაძე თ., ,,ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალების მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, თბილისის 2019 ;
12. ჭილაძე ი.(2019),,საწარმოს ლევერიჯის ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები“.მონოგრაფია.თბ.გამომცემლობა ,, მწიგნობარი“.
https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/leverij.pdf
- 13.ვენჯელაშვილი გ. ,,ფინანსური მდგომარეობის ანალიზის აქტუალური საკითხები შპს ფერმა-მარკეტის მაგალითზე“.სამაგისტრო ნაშრომი.თბილისი 2019;

<https://www.saras.gov.ge/ka/Home/>

14. Stephen H. Penman. financial statement analysis and security valuation. Fifth edition. 2013;

15. <https://openscience.ge/bitstream/1/590/1/venjelashvili%20gvantsa.pdf>

16. <http://1fin.ru/?id=281&t=1019>

17. https://afdanalyse.ru/publ/finansovyj_analiz/fin_koeffitcieni/absoljutnye_pokazateli_finan_sovoj_ustojchivosti/3-1-0-94

18. <http://www.elitarium.ru/finansovaja-ustojchivost-finansirovanie-platezhesposobnost-analiz-oborotnye-sredstva-pokazateli/>

19. <https://econ.wikireading.ru/27769>

20. <http://mathhelpplanet.com/static.php?p=karakteristika-tipov-finansovoy-ustoychivosti>

21. <https://works.doklad.ru/view/6WVzgMaWLFa.html>

დანართი N1

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“ ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

| ათასი ლარი | 2018წლის 31 დეკემბერი | 2017 წლის 31 დეკემბერი | 2016 წლის 31 დეკემბერი |
|---|--------------------------|---------------------------|---------------------------|
| აქტივები | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 91545 | 105105 | 108310 |
| ძირითადი სასუალებებისთვის გადახდილი ავანსები | 3482 | 124 | 704 |
| საინვესტიციო ქონება | 28099 | 2930 | 3180 |
| გასაყიდად არსებული ინვესტიციები | ნ/ა | 4980 | - |
| ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში | 8427 | ნ.ა | 7721 |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოში | 3549 | 7592 | 174 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 145 | 133 | 35983 |
| გაცემული სესხები | 32765 | 32864 | 593 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 441 | 525 | 593 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 168453 | 154253 | 156665 |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| მარაგები | 9065 | 8362 | 9331 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 22126 | 18122 | 15000 |
| გაცემული სესხები | 2043 | 2735 | 39 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 1526 | 499 | 1697 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 34760 | 29718 | 26067 |
| სულ აქტივები | 203213 | 183971 | 182732 |
| საკუთარი კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი | 8754 | 8754 | 8754 |
| გაუნაწილებელი მოგება | 78331 | 64853 | 59874 |
| სხვა რეზერვები | 2879 | 0 | |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 89964 | 73607 | 68628 |
| ვალდებულებები | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | | |
| ნასესხები სახსრები | 67777 | 65089 | 55228 |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | 67777 | 65089 | 55228 |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| ნასესხები სახსრები | 28822 | 23294 | 36215 |
| სავაჭრო და სხვა ვალ | 16345 | 21284 | 18454 |
| დეპოზიტური ვალდებულებები | 95 | 95 | 95 |
| სხვა გადასახდელი გადასახადები | 210 | 602 | 627 |
| სხვა მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები | 0 | 0 | 3485 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 45472 | 45275 | 58876 |
| სულ ვალდებულებები | 113249 | 110364 | 114104 |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | 203213 | 183971 | 182732 |

დანართი 2

შპს „გსკ კულა“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერი

| | 2017 | 2018 |
|---|-------------------|-------------------|
| აქტივები გრძელვადიანი | | |
| ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება | 1849121 | 2340168 |
| არამატერიალური აქტივები | 154 | 35863 |
| სულ გრძელვადიანი აქტივები | 1849275 | 2376031 |
| მოკლევადიანი აქტივები | | |
| გადახდილი ავანსები | 378095 | 426253 |
| მოკლევადიანი მოთხოვნები | 4159819 | 3075042 |
| მარაგები | 3774266 | 5550395 |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 12736 | 51398 |
| სულ მიმდინარე აქტივები | 8324917 | 9103088 |
| სულ აქტივები | 10174192 | 11479119 |
| კაპიტალი და ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები | | |
| გრძელვადიანი სესხები | (900017) | (693407) |
| ფინანსური იჯარა | | (348157) |
| სულ გრძელვადიანი ვალდებულებები | (900017) | (1041563) |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | |
| მოკლევადიანი სესხები | (1848635) | (1949596) |
| დრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი | (600000) | (939625) |
| საგადასახადო ვალდებულებები | (199184) | (159115) |
| გადასახდელი ხელფასები | | |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | (264819) | (3048336) |
| სულ ვალდებულებები | (3547836) | (4089899) |
| კაპიტალი | (90000) | (200000) |
| საემისიო კაპიტალი | (1470000) | (1470000) |
| რეზერვები და ფინანსები | | |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | (4256356) | (5719220) |
| სულ კაპიტალი | (6626356) | (7389220) |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | (10174192) | (11479119) |

დამართი 3

სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ინდივიდუალური ანგარიშგება

| ათასი ლარი | 2018 | 2017 | 2016 |
|---|---------------|---------------|---------------|
| ამონაგები | 149919 | 132194 | 116778 |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება | (102647) | (88127) | (79890) |
| მთლიანი მოგება | 47272 | 44067 | 36888 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 1577 | 508 | 439 |
| საერთო ადმინისტრაციული დანახარჯები | (15533) | (14833) | (17339) |
| დისტრიბუციის დანახარჯები | (10489) | (12031) | (9640) |
| სხვა შემოსულობები/(ზარალი),ნეტო | (3055) | (216) | 589 |
| საოპერაციო მოგება | 19772 | 17495 | 10937 |
| ფინანსური შემოსავალი | 4237 | 2830 | 1752 |
| ფინანსური ხარჯი | (7986) | (12117) | (13144) |
| მოგება დაბეგვრამდე | 16023 | 8208 | (455) |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (214) | (69) | 15886 |
| წლის მოგება მიმდინარე ოპერაციებიდან | 15809 | 8139 | |
| შეწყვეტილი ოპერაციები: | | | - |
| წლის ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან | (1278) | (2107) | - |
| წლის მოგება | 14.531 | 6.032 | 15431 |
| სხვა სრული შემოსავლები | - | - | - |
| ის მიხლი რომელიც არ იქნება რეკლასიფიცირებული მოგება- ზარალში: | | | |
| სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით შეფასებული წილობრივ ფასიან ქალაქში ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები შემცირებული ზარალით | 2879 | - | - |
| წლის სხვა სრული შემოსავალი | 2879 | - | - |
| სულ წლის სრული შემოსავალი | 17410 | 6032 | 15431 |

დანართი 4

შპს გსკ კულა

მოგება-ზარალი და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება 2018წლის 31 დეკემბერი

| | 2017 | 2018 |
|---|-----------------|-----------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 10422277 | 8766950 |
| შრომის ანაზღაურება | (783145) | (903331) |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | (5911719) | (5705312) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | (1087622) | (679354) |
| დამხმარე მასალა | (240682) | (2477) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (39361) | (39361) |
| საოპერაციო მოგება | 2349748 | 1437116 |
| საპროცენტო შემოსავალი | 2 | - |
| საპროცენტო ხარჯი | (183819) | (175332) |
| წმინდა შემოსავალი/(ხარჯი)საკურსო სხვაობიდან | (475503) | (29623) |
| მოგება/ზარალი ფინანსური საქმიანობიდან | (659320) | (145709) |
| წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი | (659320) | (145709) |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 125883 | 176403 |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი | (4460) | (4946) |
| მოგება/ზარალი გადასახადებამდე | 1811851 | 1462864 |
| მოგების გადასახადი | - | - |
| წმინდა მოგება/(ზარალი) | 1811851 | 1462864 |